წლიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — პარასკევი, 21 ღვინობისთვე 1916 წ. № 234

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: [illegible] ... 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი
ყოველდღიური — საქართველო — ყოველდღიური
ხელისმოწერის ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით — 4 მ. 80 კ. 3 თვით — 3 მ. 60 კ. 1 თვით — 1 მ. 20 კ. [illegible]
[illegible]
ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი [illegible]

ნიკოლოზ [illegible] მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ [illegible] 18 ამ ღვინობისთვეს, დილის [illegible] გარდაიცვალა
მარიამ ივანეს ასული
ფვერაძეანი
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ სახლში, ნავთლუღში, [illegible] ქუჩა № 11.
დასაფლავება კვირას, 23 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზე წ. ბარბარეს ეკლესიის გალავანში.
(2—369—1)

## საჭიროა ხელოსნები
სახელდობრ: ხარაზები, მკერავები, დურგლები, მეუნაგირები, თერძები და სხვა ისეთი ინ სახელოსნოებისთვის, რომელიც აწყობს
## კავკასიის ფრონტზე
მოსკოვის ოლქის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი.
[illegible]
(1—212—1)

## კახეთის წვრილი კრედიტის დაწესებულებათა კავშირის გამგეობა აცხადებს:
კავშირის რწმუნებულთა
## მეორე კრება
მოხდება ქ. თელავში ღვინობ. 23-ში დილით 9 ს.
განსახილველი საგნები:
1) მიღება ახალ წევრებისა,
2) სამაზრო საწყობი ფულის გადახდის ვადა,
3) [illegible]
4) საკოოპერაციო კურსების გამართვა.
(1—213—1)

## შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
[illegible] ქუჩა № 37. [illegible]
საკუთარი ტყიდან
[illegible] ტელეფონი 5—96.
(108—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
[illegible] ქუჩაზე № 5. [illegible]
(102—წ.)

## ღვინის საწყობი
## ნიკო ბ. სისიაშვილისა
[illegible]
## კახური ღვინო
[illegible] ქუჩა № 4.
[illegible]
(185—წ.)

საუკეთესო სასადილო
## „ეკონომია"
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
„ფრანციის" ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—24) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ბ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
ხიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

## ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣлк), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914" და „606"
შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
## მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს
## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.
თუმანოვის შესახვევი, № 24.
(თ. 343—24)

## პირველი ნაბიჯი

მთელი შვიდი თვეა, რაც ჭიათურის გერმანული ფირმები სალიკვიდაციოდ გაიწირა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბის პირველ ცნობისათანავე უცხო ტომის მილიონერები ჯგუფებად დაირაზმნენ და ასპარეზზე გამოვიდნენ. მას აქეთია, თითეული ჯგუფი თავის საქმეს იკეთებს და აწყობს. განა თქმა უნდა, რომ არც ერთი მათგანი არაფერს დაზოგავდა, რომ ეს სალიკვიდაციო სიმდიდრე როგორმე ხელში ჩაეგდო. ეს კარგი შვიდი თვე, რომელიც სხვებმა თავიანთი პოზიციების გამაგრებას მოახმარეს, ქართველებისთვის უქმად დაიღუპა. ყველაფერი ხელს გვიწყობდა და გვავალებდა კიდეც, რომ სამოქმედოთ სხვებზედ ადრე ჩვენ გამოვსულიყავით. ჯერ ისა რომ საქმე შეეხებოდა ჩვენსავე დაკარგულ ეროვნულ სიმდიდრეს, მერე კიდევ ისა, რომ ქართველებს ხელთ გვქონდა ისეთი ორგანო, როგორიცაა შავი ქვის მრეწველთა საბჭო. მიუხედავათ ამისა, ყველაზედ გვიან ჩვენ გამოვედით. რომ ეს სამწუხაროა, ქართველის გულს ამის მტკიცება არ სჭირია! პირველი ნაბიჯი ჩვენ მაშინ გადავდგით, როდესაც სხვებს მრავალი ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვთ. ეს მოგვიანებული პირველი ნაბიჯი, ის საგანგებო კრება გახლდათ, რომელიც ჭიათურის შავი ქვის მრეწველებმა ამ თვის ხუთმეტს ქ. ქუთაისში გამართეს. განა არ შეიძლებოდა, რომ კრება ერთი, ორი, სამი ან ოთხი თვით უფრო ადრე გამართულიყო? შეიძლებოდა, როგორ არ შეიძლებოდა. და რომ შეიძლებოდა და არ მოხდა, ეს ქართველის გულს ზადად შეეპარა კიდეც, ხოლო განზრახულ დიდ ქართულ საქმეს, შესაძლოა, ზიანად დაურჩეს,—ღმერთმა ნუ ჰქნას კია!

ჩვენ მაინც სიამოვნებით ვეგებებით ამ პირველ ნაბიჯს; გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ 15 ღვინობისთვის კრება ჯერ ჩვენში არ ყოფილი კრებათაგანია. ეს უთუოდ ახალი დროის და კოლექტიური სულის ახალი განწყობილების მაუწყებელია. ეს კრება შეუმჩნეველი გამოთქმაა იმ ცვლილებებისა, რომელიც მოხდა ქართველის ცნობიერსა და შეუცნობელს ბუნებაში, უმთავრესად დღევანდელი მსოფლიო ამბების ზეგავლენით. საქმის სიყვარულმა, ეროვნული საქმის სიყვარულმა ჩაახშო საკერძოო გულისთქმა და საერთო ზავი ჩამოაგდო იმათ შორისაც, ვინაც დღემდე მრავალი შუბი და ფარი ერთმანეთისთვის ხელში ჩაულეწნიათ. ჩვენისთანა პატარა ხალხისთვის კი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ ვართ მდიდარი ინტელიგენტურ და შეგნებულ პიროვნებებით, გასაჭირი კი ჩვენს სამშობლოს მთელი ქვეყნისა აწევს. ცოდვა შეგნებულთა ენერგია რომ იხარჯებოდეს აშკარად საპირადო გულისთქმასა და ბრძოლაზედ, რაიცა აძაბუნებს საზოგადოებრივ ილაჯს და ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის კავშირებს ასუსტებს და არღვევს. განძის ასეთი მდიდრული და უდარდელი ფლანგვა ყოველ შემთხვევაში საქართველოს არ შეუძლიან. გამოსაყენებელ ძალთა გაბათილება საპირადო შეხლის ნიადაგზე მხოლოდ ისეთ ქვეყანას ეპატიება, რომელსაც ასეთი ძალები ჭარბად მოეპოვება, თუ საერთოდ შესაძლებელია ლაპარაკი ან ამგვარ პატიებაზე, ან კიდევ ამგვარ ძალთა სიჭარბეზედ. საქართველოს კი უალრესი ეკონომია და მომჭირნეობა მართებს. ამ მხრივ, დიდია 15 და 16 ოქტომბრის კრებების მორალური მნიშვნელობა, თუ მოვლენების ღირსეული დაფასება ჩვენთვის აკრძალული ნიჭი არ არის. სწორედ რომ მოსალოცია, ის ერთსულოვნება და ერთი-ერთმანეთზე საქმიანი მიყოლა, რომელიც გამოაჩნდა ქართველ მრეწველებს ამ საგანგებო კრებებზე. ეროვნული საჭიროებისა და სარგებლიანობის შეგნებამ ყველა ერთის ენით აალაპარაკა, ყველას ერთი გრძნობა გაუღვიძა. მართალი მოგახსენოთ ეს გარემოება და ის უპირატესობა, რომელიც თან აქვს უკვე ასპარეზზე გამოსულ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, მიგვაჩნია ჩვენი გამარჯვების საწინდრად, მიუხედავად ჩვენი მოგვიანებული გამოსვლისა. შ. ქ. მრეწველთა კრებაზედ ჩვენ საქმის სიყვარულის მეუფება დავინახეთ. ამ სიყვარულს მოწიწებით სალამს ვაძლევთ და მისგან მოველით დაწყებული დიდი საქმის კეთილად მალე დაგვირგვინებას.

ს. კედია.

## ბრძოლა ზღვაზე

(პეტ. დეპ. სააგენტ.)

**ლონდონი.** 19 ღვინობისთვე. საზოგადოებათა პალატაში, ბალფურმა შეკითხვის პასუხად ადმირალის მოხსენება წაუკითხა წარსულ პარასკევს ლამანში მომხდარ საზღვაო ბრძოლის თაობაზე. მტერმა ვერ მოახერხა ლამანში გაწესრიგებული ნავოსნობის ნირის შეშლა. მოპირდაპირემ იერიში მიიტანა სამგზავრო გემ „კუმან"-ზე, რომელზედაც მხოლოდ გემზე მოსამსახურენი იმყოფებოდნენ. ეს გემი გადარჩებოდა, გემის უფროსს რომ სცოდნოდა, რომ გემს ექვსი საათს შეეძლო გაძლება. ამას გარდა გერმანელების ნაღმოსნები ბნელაში დაეცნენ ინგლისის კონტრნაღმოსანს „ფლისტ"-ს, თავზე წაადგნენ და ნიშანში ესროდნენ. „ნუბიან"-მა ნაღმი გაისროლა, როდესაც გერმანელების ფლოტილიაზე იერიში მიიტანა. „ნუბიანი" შესაძლოა გადარჩა კიდეც. დაგვეღუპა აგარეთვე ბადეში მომწყვდეული 6 წყალქვეშა.

ამ ბრძოლის თაობაზე „უტრო როსიის" კორესპონდენტი ლონდონიდან იტყობინება 14 ღვინობისთვის თარიღით: წუხელ გერმანელების 10 კონტრ-ნაღმოსანი ლამანში ტრანსპორტებს დაეცა. ტრანსპორტი „კინი" დაღუპეს, ზედ მყოფნი გადაარჩინეს. ინგლისის კონტრ-ნაღმოსან „ფლიჩტ"-ზე არავითარი ცნობა არაა. ეფიქრებათ, იქნება იგი დაღუპულიაო.

კონტრ-ნაღმოსანი „ნაბიენ"-ი ნაღმმა შეანგრია, იგი სხვა გემს გამოაბეს და ისე წაიღეს. ქარიშხალი ამოვარდა და ეს გემი ქვიშაში დაეფლო.

**პარიზიდან** იტყობინებიან: 13 ღვინობისთვეს ღამე ლამანში თარეშის მერე უკან გამობრუნებული გერმანელების 5 კონტრ-ნაღმოსანი ფრანგების მებადურ 2 გემს შეჰხვდა, ერთი მათგანი დაჰლუპა, ზედ მყოფთა უმეტესობა გადაარჩინეს.

საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუნდაც ერთი გერმანელების კონტრ-ნაღმოსანი დაღუპულიყოს ინგლისელების სროლით, თუმც მოხვედრით კი ახვედრებდნენ. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ გერმანელების ორი კონტრ-ნაღმოსანი ნაღმს წააწყდა, აფეთქდა და შეიძლება დაიღუპა კიდეც.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, ქ. ბრზეჟანის სამხრეთით, მოპირდაპირე აღარ ხუმრობს და როგორც გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გადმოგვცემს, საშინელ საარტილერიო ცეცხლს აჩაღებს და იერიშებს აწარმოებს. დეპეშაში ნათქვამია, მოპირდაპირეს მრავალრიცხოვანი ჯარი მიჩიშუს ტყესთან იერიშით გვეკვეთა და გვაიძულა უკან დაგვეხივნაო. აქვე ნახსენებია მძიმე არტილერიის ამუშავება. ორივე ეს ცნობა ცოტა არ იყოს ამართლებს ჩვენ მიერ გუშინდელ ნომერში გამოთქმულს მოფიქრებას. ჩვენ ვამბობდით, ბრზეჟანის მიდამოს ისეთი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ბრძოლის მოხაზულობაზე, რომ ავსტრიელები შეიძლება შეეცადნენ აქ დიდი ოპერაცია დაიწყონ და შეეცადნონ რუსეთის ბრძოლის პირის გარღვევას. მასთანვე აღვნიშნეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აქ დაწყებულ ოპერაციას ფალკენჰაინის არმიისათვის, რომელიც მოქმედობს რუმინეთის წინააღმდეგ. ახლა გაჩაღებული ბრძოლა ქ. ბრზეჟანის სამხრეთით, უფრო იმითაა საგულისხმო და მასთან გამომჟღავნებული ავსტრიელების განზრახვისა, რომ ძალიან მოკლე ხაზით სწარმოებს. მთელი მიდამო სოფ. მიჩიშუდან სოფ. სვისტელნიკამდე სიგრძით 15—20 ვერსს არ აღემატება. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რას ნიშნავს ასე მოკლე ბრძოლის პირზე მძიმე არტილერიის ამუშავება და მრავალრიცხოვანი ჯარით იერიშების დაწყება. თვით ის გარემოება, რომ რუსეთის ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია, ამტკიცებს ავსტრიელების ჯარის სიმრავლეს. მაშასადამე ცხადია, ავსტრიელები სცდილობენ ბრძოლის ხაზის გარღვევას. შესძლებენ თუ არა მას, მალე შევიტყობთ.

რუმინეთის შესახებ გუშინ ორი ოფიციალი დეპეშა მოვიდა. ერთი თვით რუმინეთის სამხედრო შტაბისა, მეორე რუსეთისა. პირველი ცნობის მიხედვით, რუმინელების მდგომარეობა დასავლეთ ბრძოლის ასპარეზზე ცოტად თუ ბევრად გამოკეთებულა. მაგ. მათ მოუგერებიათ ავსტრიელების იერიში მდ. დრახოკის მიდამოებში, ბრატოჩესთან გაურეკიათ მოპირდაპირე. რუსეთის მთავარ შტაბის ცნობით კი მდ. სლეტის ნაპირეზე სოფ. რაკოვიც და ტიტეშტი დაუტოვებიათ და უკან დაუხევიათ.

დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია. კერძო დეპეშათა ცნობით რუმინელებს და რუსებს კონსტანციდან 80 ვერსით დაუხევიათ. მოკავშირეთა ჯარი უეჭველია ახლა უკვე ბაბადახის ტყეში შევიდოდნენ. აქ ისინი გამაგრდებიან, რომ მაკენზენი იძულებული გახადონ შეაჩეროს წინ სვლა და გამაგრდეს.

სოლუნის მიდამოც ახმაურდა. მდ. სტრუმის მარცხენა ნაპირზე ინგლისელებს იერიში მიუტანიათ და აუღიათ გამაგრებული სოფ. ბარაკლი-ძუმა. ბულგარელებს დიდი ზარალი მოსვლიათ.

X.

P. S. წარსულ პარასკევს, ღამე, გერმანელების ნაღმოსნებს უსარგებლნიათ სიბნელით და ლამანში ინგლი-

სელების გემებს თავს დასხმიან. როგორც ბალფურის მოხსენებიდან სჩანს, ინგლისელებს საგრძნობელი ზარალი მოსვლიათ. მასთანვე მინისტრი გულახდილად აღიარებს: გერმანელები ისე დაბრუნდნენ, რომ საგრძნობელი ზიანი ვერ მივაყენეთო. ეს ცნობა, პირდაპირ სენსაციონურია.

ძნელი წარმოსადგენი იყო გერმანელების მიერ ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა. ლამანში მეტად ძლიერ გამაგრებული სრუტეა. ამ გზით ინგლისელებს ყოველთვის ჯარი გადაჰყავთ ხოლმე საფრანგეთში. მაშასადამე, ყოველგვარ საშუალებას მიიღებდნენ ინგლისელები, რომ მიმოსვლა თავისუფალი და მასთან უხიფათო ყოფილიყო. ჯერ-ჯერობით დაწვრილებით ცნობა არ არის მოსული. თვით ბალფურის მოხსენება კი იმდენად ბუნდოვანათ არის გადმოცემული, რომ შეუძლებელია დანამდვილებით გაითვალისწინო, როგორც ინგლისის ისე გერმანიის ზარალი.

X.

# ომის დეპეშები

**20 ღვინობისთვე.**

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბარზეუანის სამხრეთით, მაჩიშუევლიპიც-დოლნოის მიდამოებში და სოფ. სვისტელნიკის აღმოსავლეთით მედგარი ბრძოლაა. მიჩიშუვის ტყეში მოპირდაპირემ ჩვენზე გაცილებით ძლიერის ძალებით, მძიმე ზარბაზნების გააფთრებულ სროლის შემდეგ, შემოგვიტია და თუმცა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეთ, მაგრამ ამ ტყის სამხრეთ წარაფებისაკენ დაგვახევინა. სოფ. ლიპიც - დოლნაიას და სვისტელნიკის მიდამოებში მტრის შემოტევა მოვიგერიეთ და დიდათაც დავაზარალეთ იგი.

ტყიან კარპატებში მოპირდაპირემ ქ. ჟნევის სამხრეთით 8 ვერსზე შემოგვიტია, მაგრამ უშედეგოდ.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.** ტრანსილვანია მდ სლეტის მიდამოებში მოპირდაპირემ დაიპყრო სოფლები რაკოვიცა და ტიტებტი და რუმინელების ჯარი ცოტა სამხრეთით დასწია. რუმინელები ამ სოფლების სამხრეთით მაღლობზე მაგრდებიან.

დობრუჯაში მხოლოდ მზვერავ რაზმების მოქმედებაა.

**რომი.** იტალიელების ოფიც. ცნობა. კარსოზე მტრის 1 საფრენი ჩამოვაგდეთ. ერთი მფრინავი მოკვდა, მეორე დავატყვევეთ.

ალბანეთში მტრის საფრენებმა, 15 ღვინობისთვეს კლისურის მიდამოებში, ქვემო ფოიუსზე, ყუმბარები ჩამოჰყარეს. ზიანი არ მიუყენებიათ.

სოლუნის ასპარეზი. დოირან-დემიგისარას ხაზზე, აკინჯალის რკინის გზის სადგურის მახლობლად მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ.

**კოპენჰაგენი.** გაზეთების აზრით, გერმანეთ-ნორვეგიის შორის მომხდარი უთანხმოება მალე სრულის მორიგებით დაბოლოვდება.

**სტოკჰოლმი.** ქარიშხალის დროს შვეციის სანაპიროებთან დაიღუპა გერმანელების გემი „ირმგარდ“-ი, ლულეოდან სამხრეთით მიმავალი.

**ბუქარესტი.** რუმინელების ოფიც. ცნობა, 19 ღვინობისთვისა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ტოლდეშიდან ტაბლაბუცამდე მდგომარეობა არ შეცვლილა. როსკას მთაზე, ბრატოჩთან, რუმინელების პატარა რაზმი მოულოდნელად თავს წაადგა მტერს, დააზარალა და განდევნა. მხოლოდ ერთ თხრილში აღმოჩნდა დახოცილი 2 აფიცერი და 70 მეომარი. როსკის მთა დავიპყარით, ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ტყვის მფრქვეველი და პროჟექტორი. პრედეალთან კანტიკუნტი სროლაა ზარბაზნისა. დრახონას ველში, დრაგოსლავლის მიდამოებში, მტრის რამდენიმე შემოტევა მოვიგერიეთ. ჟიუს ველში დამარცხებულ მტერს ვდიეთ. ორშოვთან ზარბაზანი ხამუშ-ხამუშ გრგვინავს.

სამხრეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**ათინა.** 18 ღვინობისთვე. გერმანელთა მისია გადაჭრით არას ამბობს საბერძნეთის გემის „ანგლიკის“ დაღუპვაზე, უარს ამბობს, ჩვენ არ დაგვიღუპნიაო. საბერძნეთის მუშები გაიფიცნენ 24 საათით. დელეგაცია პროტესტით წარუდგა მეფეს, მთავრობას, ნეიტრალ სახელმწიფოებს, გერმანეთისა და ავსტრიის საელჩოებს. ხვალ გემზე დაღუპილთა ბრწყინვალე დაკრძალვა მოხდება.

**ლონდონი.** 18 ღვინობისთვე. რეიტერის სააგენტო იუწყება, მოკავშირეთ არავითარი გულგრილობა არ გამოუჩენიათ ვენიზელოსის შესახებ. ამ ხმებს მტერი თავის სასარგებლოდ ავრცელებს, რა არის შუღლი ჩამოაგდოს საბერძნეთისა და მოკავშირეების შუა. ჩვენ არა გვსურს საბერძნეთის ნეიტრალიტეტის დარღვევა, არა, ჩვენი სურვილია მხოლოდ სოლუნში მყოფი ჩვენი ჯარები უზრუნველვყოთ ყოველგვარი ხიფათისაგან.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

„რუსკი ინვალიდ“-ის სამხედრო მიმომხილველი **გ. კლერჟე** სწერს: უკანასკნელ დროს, ჩვენს დასავლეთ ასპარეზზე, ბარანოვიჩის რკინის გზის კვანძის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ ზარბაზნის დაშენის შემდეგ, ერთი ბატალიონით შემოუტია მდ. შარზე მდებარე სოფელ გოლდოვიჩის თხრილებს და ჩვენი ჯარი მდინარის მარჯვენა ნაპირას გადარეკა. სოფელი გოლდოვიჩი ბარანოვიჩიდან 35 ვერსის მანძილზე, სლუცკ-ბრესტლიტოვსკის შარა-გზის ცოტა ჩრდილოეთით. მდ. შარი ნემანის მარცხენა ტოტია და რუსეთისა და გერმანელების ბრძოლის ხაზს შუა ჩაუდის. ეს ადგილი ჩვენს ბრძოლის ხაზზე წინ წაწეული იყო და ჯარის უკან წამოსვლით ხაზი გამოსწორებულა. აქ, ასეთ მცირე ადგილას, როგორც სჩანს გერმანელებს ძლიერი არტილერია ჰყოლიათ და უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის ცნობით „ძლიერი ცეცხლიც“ გაუჩაღებიათ ზარბაზნებით. უეჭველია მძიმე ზარბაზნებიც ამოქმედებულა. ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ჩვენი ჯარის უკან დახევა, სჩანს ზარალს გამოერიდა.

ბრუსილოვის ჯარის სამოქმედო ასპარეზის სამხრეთ ნაწილში, ტყიან კარპატების მიდამოებში, რაფაილოვის სამხრეთით და სოფ. ვორონტის დასავლეთით მოპირდაპირემ სცადა ხელთ ეგდო მტრისკენ სოლივით შეჭრილი ბრძოლის ხაზი, მაგრამ მოვიგერიეთ. აქ ამაო თვალის ასახვევი ბრძოლა გაგვიმართა მოპირდაპირემ, თვითონ კი ჯარებს ახლად ჰრაზმავდა და გადაჰყავდა-გადმოჰყავდა; განსაკუთრებით დიდძალი ჯარი იძვრის ტრანსილვანიისაკენ.

დობრუჯაში ფელდმარშალი მაკენზენი სცდილობს რუმინეთის და ჩვენი ჯარი დუნაის შესართავთან დელტებში გადალალოს.

**რუმინეთი.**

„რეჩ“-ის სამხედრო მიმომხილველი გ. პ. სწერს: ჰინდენბურგის გეგმით ბუქარესტის დასავლეთით მყოფი რუმინეთის ჯარი ორი მხრიდან გარემომდგარი ჯარით მუხრუჭში ჰყურთ მოამწყვდიონ. ამ გეგმის განხორციელება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს ფალკენჰაინი კრონშტატისა და გერმანშტატის გზით გამარჯვებას.

შარშან ამ დროს მაკენზენი ძლევამოსილი მიემართებოდა სერბეთის მიწაწყალზე. ეხლა იგი ფალკენჰაინთან ერთად სცდილობს რუმინეთი სიგძე-სიგანით გადაქელოს. მაგრამ აქ საქმე უფრო რთული აღმოჩნდა. რუმინეთის სანაპირო ქალაქებიდან გამოქცეულთა სიტყვით მტერი თავგანწირვით ეხეთქება რუმინეთის ჯარს და შუა რუმინეთში შეჭრას ლამობს. ტრანსილვანიაში მტრის მეტად ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული.

უფრო გართულებულია საქმე დობრუჯაში. აქ ბულგარელ გენერალ ტოშევის ჯარი დუნაის პირად ტომარის მოსაზღვრობის რკალში მიიწევს. აქ მთელი ბრძოლის ხაზზე უტევს მოპირდაპირე და რუსეთ-რუმინეთის ჯარი გირსოვ-კაცაპკიის ხაზით ჩრდილოეთით იხევს. გირსოვო მდ. დუნაიზე მდებარეობს, ჩერნოვოდის ჩრდილოეთით, 35 ვერსზე, გასკამარეს კუნძულის პირდაპირ. სოფელი კაცაპკიო მდებარეობს შავზღვის პირად მდებარე ლურჯი კონცის (ეინი ლიმანი) მახლობლად, კონსტანცის ჩრდილოეთით 40 ვერსზე, კონსტანციდან ტულჩისაკენ მიმავალ შარაგზის მეექვსე ვერსზე. ჩვენი და რუმინელების ჯარი ამ ხაზის ჩრდილოეთით ბაბადახის ტყესაკენ იხევს, რომელიც ბაბადახიდან იწყება და ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული ისახჩამდე.

# უკანასკნელი დეპეშები

რიგის ფრონტზე გერმანელებმა ბრძანება გასცეს, საიდანაც სჩანს, რომ ჯარის ზურგს უკან ლაზარეთებსა, სამზარეულოსა და სხვა სასურსათო დაწესებულებაში მომუშავე ჯარისკაცების ნაცვლად ქალები იმუშავებენ. სურსათის გადამზიდავ ორგანიზაციაში უკვე ქალები მუშაობენ. სამხედრო შოფერებადაც ქალები არიან.

—

ათინიდან უკანასკნელ ცნობით გვატყობინებენ: მეფე კონსტანტინეს მიერ ფლოტის დათვალიერების შემდეგ ქალაქში დიდი არეულობა მოხდა. არეულობის დროს თითქმის ანარქია მეფობდა. შეიარაღებული ხალხი, რომელიც მოთადარიგეთა და მეზღვაურთაგან შესდგებოდა, მთავარ ქუჩაზე გამოიშალა. ჰაერში გაისმოდა მოკავშირეების მტრული და ცუდი ხსენება. წარმოითქვა მრავალი ხალხის ამაჯანყებელი სიტყვა მოკავშირეთა წინააღმდეგ. პოლიცია და ჟანდარმერია ხალხს მიემხრო. ქუჩაში მოხიარულე ქვეითა ჯარმა და დარაჯებმა ხელიც არ გაანძრიეს ხალხის გასაფანტავად. ბოლოს ხალხი მეფის ტატოის ციხე, დარბაზისკენ გაეშურა. ნაწილი ხალხისა კი ამერიკის საელჩოსკენ გაემართა ამერიკულ ბაირაღით. სახალხო თეატრის წინ საფრანგეთის ადმირალი დაჰხვედრიათ, რომელიც თურმე თავის მეზღვაურების დასათვალიერებლად მიდიოდა. ხალხი მას უკმეხათ და სტვენით შეჰხვედრია. ინგლისის საელჩოსთანაც ხალხს მტრობის მღალადებელი დემონსტრაცია გაუმართავთ. ვენიზელოსტებიც იძულებულნი შეიქმნენ თავი ეხინათ და მათაც დემონსტრაცია მოეხდინათ. საფრანგეთის დარაჯებმა 7 დამნაშავე შეიპყრეს. საბერძნეთის მთავრობა შეეცადა განთავისუფლებას, მაგრამ ჯერ არ გაუნთავისუფლებიათ.

—

პარიზში ტრამვაიზე მომუშავენი გაიფიცნენ და მოითხოვენ ხელფასის მომატება. გაფიცულთა უმეტესი ნაწილი დედაკაცები არიან, რომელნიც დღემდე მუშათა მოძრაობას მტრულის თვალით უყურებდნენ.

—

ხანდო პირების ცნობით დასავლეთ ფრონტზე ჰინდენბურგი მოგერიებით ტაქტიკას დაადგება და ამ დროს მოემზადება იტალიაზე ახალ იერიშების მისატანადაო.

—

ბუქარესტის განსაცდელი სერიოზულია. რუსეთის და რუმინეთის ჯარმა კონსტანცასა და ჩერნოვოდის ხაზიდან ჩრდილოეთით 80 ვერსით უკან დაიხია.

—

ბულგარელები კონსტანცაში დიდძალ სურსათის ხელში ჩაგდებას მოელოდნენ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. ბულგარელები უსასტიკეს თვალყურს ადევნებენ საბერძნეთის მცხოვრებთ. ვენიზელოსის მომხრეებს აპატიმრებენ და ქონებასართმევენ.

—

ათინიდან იტყობინებიან: დროებითსა და მუდმივ მთავრობათა შორის შეთანხმება მოხდა. ოფიციალი მთავრობა დროებით მთავრობას ხელს არ შეუშლის და არც წინ გიდაეღობება მოკავშირეთადმი მიმხრობას, ვიდრე ცენტრალ მთავრობის უფლებას არაფერს ავნებს.

—

ამ ბოლო დღეებში რიგის ფრონტზე დიდი შეტაკება მომხდარა. მოწინაამდეგე დიდ ყალიბიან ზარბაზნებს ისროდა.

—

კონსტანცაში შესვლისას ბულგარელებმა გამოიტანეს დიდძალი ხორბალი, ნავთი, ბენზინი და ლითონი. ძლიერ მრავალი რუმინელი დააპატიმრეს. გუბერნატორად დანიშნეს ბულგარელი კონსული. ქალაქს კვლავ ცეცხლი ეკიდება. გერმანელები კონსტანცის ზღვის პირად მძიმე ზარბაზნებს სდგამენ.

—

მას შემდეგ რაც რუმინელებმა ჩერნოვოდი და კონსტანცი დასტოვეს, გენერალ ავერესკუს ჯარი დღეში ათს ვერს უკან იხევს. წინად კი დღეში 50 ვერს იხევდა. სატახტო გაზეთების ცნობით ბალკანეთში ორივე მხარეზე 11 მილიონამდე ჯარი იბრძვის.

—

ოდესიდან იტყობინებიან: ბუქარესტზე გამუდმებით აეროპლანები დაფრინავენ, ამის გამო სატახტო ქალაქიდან მცხოვრებნი გამორბიან და ქ. იასსში სახლდებიან. ამ ქალაქში მრავალი სხვა გამოქცეულია. ზოგიერთ მიდებული რომ, გამოქცეულები სხვა და სხვა ადგილას დაბინაონ, თორემ ქალაქი მეტის მეტად ივსება მცხოვრებთაგან. გამოქცეულები ბესარაბიაში გადაჰყავთ.

# ახალი ამბავი

**სახაზინეში.**

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა კავკ. სამკურნალო ნაწილის უფროსი ფ. ლ. ფენხერი.

◆ **დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე** სადარბაზოდ ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოს მ. ყ. უ. პლატონთან.

◆ **დიდი მთავარი ბორის ვლადიმერის ძე,** გუშინ კავკასიის ფრონტზე გაემგზავრა.

**მთავრობის დაწესებულებანი**

◆ **50 წლის იუბილე კავკ. ქალთა ინსტიტუტისა.** კავკ. ქალთა ინსტიტუტს 19 ამ თვეს 50 წელი შეუსრულდა რაც ქვრივ დედოფლის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ამ დღეს სასწავლებლის კარის ეკლესიაში მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი. პარაკლისზე მობრძანდენ მეფის ნაცვალი უავგ. მეუღლით, ძმით და რძლით. პარაკლისის შემდეგ საექიმო დარბაზში მოწაფეთა გუნდმა საერო ჰიმნი შეასრულა. ნაშუადღევის მეორე საათზე დღესასწაული დამთავრდა.

◆ **მიწად მოქმედების რწმუნებული** კ. ი. შაშკოვსკი შავი ზღვის პირას მოგზაურობიდან დაბრუნდა თბილისს.

◆ **რევიზიის შედეგი.** როგორც ვიცით საკვებ საკითხის გარშემო ადგილობრივ პრესაში მთელი აურზაური ასტყდა და მეფის ნაცვლის განკარგულებით მის უმაღლესობის საბჭოს წევრს ბ-ნ პროტასიევს მიენდო რევიზია თბ. ქალაქის საკვებ თათბირის საქმეებისა და საკვებ საქმის ოპერაციის წარმოებისა. ამ ჟამად ეს რევიზია დამთავრებულა და როგორც მეფის ნაცვლის კანცელარია აცხადებს საქმის ყოველ მხრივ გაცნობის შემდეგ არავითარ ბოროტმოქმედებას, სისხლის სამართლის ხასიათისას, ამ საქმეში ალაგი არ ჰქონია და ყველა განცხადებანი და საჩივრები რეალ საბუთებით არ დამტკიცებულა, გარდა ზოგიერთ უწესობისა ნამდვილ ფორმალურ ხასიათისა, რომელსაც გასამართლებელი საბუთებიც ჰქონია, მაგალითად განსაზღვრულ თანხის ფარდებში მოქმედება და საერთო მდგომარეობა ომის გადამკიდე შექმნილი. რევიზიის შედეგი მეფის ნაცვლის კანცელარიამ აცნობა ქალაქის მოურავს და მიუთითა თანაც იმ დეფექტებზე, რომელიც ამ საკვებ საქმეში აღმოჩენილა, როგორც მაგალითად, მეტი აქტივობის გამოჩენა ქალაქის საკვებ თათბირის პირველ მოთხოვნილების საგნების ოპერაციებში. მთავარ დანაშაულად ქალაქს ის ბრალი ედება, რომ ფქვილს სხვა ქალაქებში გზავნის მაშინ, როცა აქ თვით კრიზისი აქვს. ამ დადგენილების ასლი გაეგზავნა ქალაქის მოურავსაც ა. ი. ხატისოვს. ასლზე აწერია ბოლოს: „გთხოვთ მიიღოთ რწმუ-

# ფეხი იბრუნა

**(მოთხრობა) *)**

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

7.

გაერთო პორფირე სოფლიურ ცხოვრებას. ნელნელა გაიდგა ფესვები ნიადაგში. შეექსა და შეეთვისა ბუნების კალთაზედ ყოფას, დედამიწის წიაღიდან საზრდოს ამოზიდვას და თან და თან დაივიწყა ის ხელოვნური ცხოვრება, რომელიც გარს ერტყა მას სასწავლებელშიც, პირველ ხანსაც თვისის საკუთარის ცხოვრებისა. ეხლა იმას მჭიდროდ აკავშირებდა თავის მამულთან შიგ ჩაღვრილი თვისი ოფლი, რომელიც აღბეჭდილიყო თვითეულ ხეზედ მისის ხილნარისა, თვითეულ კვალში მშვენივრათ მოწყობილ ბოსტან-ბაღჩისა, ყველა კუთხეში მის სუფთად შენახულ ეზო-ყურესი, მკვიდრად ნაგებ შენობებზედ, სახნავ-სათეს მიწებზედ და ყველაფერზედ, რაც კი მისი შრომით მის თვალწინ გამშვენებულიყო, აღორძინებულიყო, გარდაფურჩქვნილიყო. დიასახლისსაც, სახლის ვაჟკაცსაც მჭიდრო ერთობა ჰქონდათ მამულთან: მათ უყვარდათ იგი, როგორც მეტყველი მათის მოქმედი ცხოვრებისა მამულიც ეალერსებოდა მათ, ჰაზრიან და გამჭრიახ მის მომღელთ, რომელნი მარად ზრუნავდნენ მის ღირსეულად შენახვაზედ, გაპოხიერებაზედ, გამშვენიერებაზედ, ხოლო ნიშნად ამ სიყვარულისა უხვად აძლევდა პურს არსობისას, ბინას უყვედურს და საიმედოს; ფართო ფიანდაზად გადაშლილიყო იგი მათ ფერხთ ქვეშ, როგორც სამკვიდრებელი საშვილიშვილო. მამულს აწ თითონაც უყვარდა მეთქი თავისი კარგი პატრონი და შემნახველი, უღიმოდა მას სიუხვით.

— შენა გგონია მიწა უაზროა, უგრძნობელი, ან უნებისყოფო? ტყუილადა გგონია, მიწის შვილო! დედამიწა ბევრს გეტყვის შენ, მრავალს კარგს გამცნებს იგი მარადჟამს, გონება თუ გაქვს მისკენ მიქცეული და ძალგიძს შეიგნო მისი ნათქვამი, მისწვდე მის ნაკარნახებს; ბევრს კარგს გაგრძნობინებს იგი მის გულში ჩაკრულს, თუ შეგწევს ძალა განიცადო მისი ღიმილსიცილი, მისი ცრემლ-ნაღველი, იმედიანი ალერსი მისი და სიხარული, როდესაც მოგიპყრობს შენ თავის წიაღს ქვეყნიურის კეთილით დატვირთულს; შენ არ იცი, როგორა სწუხს ბუნება, როცა ვერ იზიარებ ვერც მის სიხარულს, ვერც მის სიმძიმილს! ბუნება სავსეა სურვილებითაც, შენდამი კეთილი სურვილებით, მის ურჩო შვილო შეუგნებელო! მასა ჰსურს გქონდეს სამკვიდრებელი სამუდამო, რომ არ დაძრწოდე მიდამო, ვით ეული გზას აცდენილი, არ დაგაქანებდეს ტალღათ ცხოვრებისა, როგორც მოგლეჯილ ბურბუშელას ქარი სასტიკი; ბევრი კეთილი ჰსურს შენთვის მას, სისრულე ყოველის სიკეთისა, ოღონდ შეაუთანხმო და მიაგებო მის კეთილ სურვილებს შენიც კარგი მისწრაფებანი, შეთანხმო შრომა შენი შენდამი სასიკეთოდ მომართულ მის მოქმედებასთან. არ იფიქრო, შენი უარისმყოფელი იყოს მიწა, მართლა მხოლოდ ეკლისა და კუროსთავის შენდა აღმომცენებელი. არასოდეს! შენ ოღონდ შეიტკბე მიწა, როგორც დედა მოამაგე, შეიგნე მისი სურვილები, რომ მიჰყვე მის კარგ განზრახვებს და ის რძეს გასმევს შენ ნოყიერს, აგალიცლიცებს ჯან-ღონით, აღგავსებს სიცოცხლით, აგალაღებს, გაგფურჩქნის ვარდად ედემისა. მაშ რა გგონია! აბა დახე ბუნების წაალიდან აგლეჯილთ, ხელოვნურ არეში მოთავსებულთ, როგორ უგვანნი არიან იგინი, ღონე მიხდილნი, სიცოცხლის წყარო მიწურულნი, საცოდავ-სასაცილონი. გირჩევ შეიტკბო მიწა, სიცოცხლითვე დარწმუნდე, რომ შვილი ხარ მისი, მისი წიაღიდან გამოსული და მისსავე წიაღად მიმქცევი, თორემ საბრალო იქმნების ოდეს მოვა ჟამი ცხოვრებიდან განვლისა: შიში სიკვდილისა შეგიპყრობს შენ, მყის წარხოცს კი თვით ხსოვნას განვლილ ჟამთა სიკეთისას, შენ წინ განხმული მიწა არ იქნება შენთვის მკერდი მშობლისა, რომელი სიყვარული მოგელის შენ, რათა აღმოაცენოს შენგან ცხოვრება ახალი; შავ სამარედ მოგეჩვენება შენ იგი მკერდი დედისა. ხორხად გაძვინებულის ვეშაპისა, რომელ სწრაფის შეგმუსროს შენ და ჩაგნთქას უკვალოდ. და შეძრწუნდები ფრიად, და დაგფარავს ბნელი გარესკნელი საბრალოს.

მამულმა შეაკვეთა და შეიტკბო ცოლქმარი, დაუურვა, გააპატიოსნა, მისცა შეძლება ნოყივრად განშრავლებისა. ეხლა პორფირეს სახლი სავსე იყო ბალღებით და იხარებდნენ დოვლათში მყოფნი, ივსებოდნენ, თამამდებოდნენ. უფროსი ქალი აგერ დაათავებდა სწავლას მახლობელ ოთხკლასიან სასწავლებელში. აღარც განაგრძობდა სწავლას: მეტ მეცნიერებას ეჭვის თვალით უყურებდა უკვე ჩაკვრივებულ-გამთქვინებული გოგონა; ის და სწავლა არც თუ ძალიანა თავსდებოდნენ ერთმანეთში. არც შინაურები ატანდნენ მეტ ძალას, არ აქეზებდნენ:

— ორ-სამ წელიწადს თავისუფლად მოივლის და მერე ღმერთი უშველის, საკუთარი ოჯახის წარმოებას შეუდგება,— ფიქრობდნენ პატრონები და ეხლავე მზითვის ნელ-ნელა მომზადებას შესდგომოდნენ წინდახედულნი. ფეფიკოს მომდევნო სხვა ბალღებიც კუბატივით დატენილ-დაბზინებულნი უზრუნველად დარბოდნენ ეზოში კმაყოფილნი. ბედნიერად და წყნარად მცხოვრებ სახლს არაფერი დარდი არა ჰქონდა აწმყოში და მომავალსაც შუბლგაშლით უყურებდა იმედიანი. არც თუ წარსულში ჰქონდა რამ ცოლ-ქმარს დასანანი, მხოლოდ ხანდისხან თუ იოცნებებდნენ შემტკბარნი სხვა გზაზედ ცხოვრებისა, რომელიც ოდესმე შესაძლო იყო მათთვის და რომელსაც არ აჰყვნენ მაშინ იგინი.

— იცი, პორფირე, შენ რომ ისეთი ამაყი არა ყოფილიყავი და მოუთმენელი, იქნება იმისთანა ადგილიც კი გჭეროდა ეხლა, როგორიც შენ ამხანაგ პეტრესა აქვს. ვითომ რატომაო? რითი გჯობია მაინც და მაინც ის კაცი შენ?

— მართალს ამბობ! ვერც ჭკუით, ვერც მოაზრების უნარით ვერა მჯობდა მე ის სასწავლებელში, მაკრამ იმან მაინც მეტი უფლება შეიძინა და იმისთვის მიაღწია დიდ ადგილს. ხუმრობა არ არის, კაცს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

— ამბობენ, სამსახურში განათლების ხარისხს მაგდენი ძალა არა აქვსო, იქ ხანგრძლივი მუყაითი მუშაობააო თავი და თავი.

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო, მაგრამ იქ კიდევ აუცილებლად საჭირო არის მორჩილება, დროზედ ღიმილი უფროსთა საამოდ და ისეთი ხერხიანობა, რომ გველის ხვრელში გაძვრებოდეს კაცი. პეტრეს ეს ნიჭი იმ თავითვე ჰქონდა: ის, რომ შეეტყუებოდა მასწავლებლებს, თუნდ ყველაზედ ჟინიან მასწავლებელს თუ აღმზრდელს, სწორედ გასაკვირველი იყო.

— შენ კი, გოროზო, ვერაფერ ამისთანას ვერ იმშვენევდი და გამოეცალე განათლებულ სავალს ცხოვრებისა. ამბობენ, სიფაქიზე და ყველა წვრიმალი წეს-რიგიც კი არის თურმე იქ აუცილებელი, შენ კი ბალღივითა ხარ, ისიც არ იცი, სადა ყრია შენი ტანისამოსი.

— ეგ მხოლოდ იმისთვის, რომ შენ გამაყვინიზე! ახლა ამ შენმა მამულმაც დამიხვია გული, ნოყიერი მკერდი გადამიშალა, როგორიც არის აი ეს შენი ჩაკვრივებული გულ-მკერდი,— უთხრა ქმარმა

და ნდომით ხელი მოჰკიდა მკლავზედ, თავისკენ მიიზიდა ცოლი. შეწითლებული ქალი დარცხვენით მიჰყვა ქმარს.

— ალბათ მამულმაც იგრძნო შენი უნარი და იმიტომ დაგიტყვევა გული. თუ შენ არ შემოსულიყავი ამ სამკვიდრებელში, არას გზით არ შემრჩებოდა ეს მე. ვინ შეიგნებდა ამის ყადრსა და ყამს, ესე ხვავიანად სხვა ვინ აწარმოებდა ამ საუნჯეს. სწორედ ხელიდან დამისხლტებოდა; დავკარგავდი მასთან ერთად წინაპართ საფლავსაც,—მიუგო ქალმა

და კოცნით გარდაუხადა მადლობა თავის ვაჟკაცს, რომ პატრონად აღმოუჩნდა ახალსავე ხანებში დაობლებისა და მტრის გულისა არ გახადა არც თითონ ის, არც მისი სამკვიდრებელი თუ სავსე სახლი.

საზოგადოდ ცოლ-ქმარი მთლად კმაყოფილი იყო ერთმანეთისაც, ცხოვრებისაც. თუ ხანდისხან დანანებით ლაპარაკობდნენ ქალაქზე და იქაურ სუფთა ცხოვრებაზედ, სახელმწიფო სამსახურზედ თუ იქ წარმატებაზედ, ამ საუბარს უფრო ოცნების ხასიათი ჰქონდა და თვით საგანიც მხოლოდ სიტყვის მასალა ლა იყო ოჯახში; არავითარი სამოქმედო ხასიათი არა სდევდა მას: არ ჰქონდათ მათ არაფერი მიზეზი ესურვათ მამულიდან დაძვრა და შეჭრა იმ ფესვებისა, რომელნიც გაედგათ მათ ნიადაგში.

— საკვირველი კია, ჩემო კარგო, რომ ეს მამული ისე შევითვისე, თითქო საკუთარი ჩემი მამა პაპეული ყოფილიყოს და არა შენ მოგყოლოდეს მზითევში. არ დაიჯერებ, რომ თვით საფლავები შენთ წინაპართა, აი იმ ქოჩორა კაკალ ქვეშ რომ მოგითავსებიათ, ისევე პატივსადებნი არიან ჩემთვის, როგორც საკუთარი მშობლების სამარეები. მხოლოდ მაინც ვერ მივმხვდარვარ, რად უნებებიათ თქვენებს ცალკე სასაფლაოს გამართვა ამ მამულში.

— მამულს რომ შეეთვისე ესე ძლიერ, ალბად ჩემი წინაპრების სული შენზედ გადმოვიდა, მათ მემკვიდრეზედ. იმათ თურმე ისე ძლიერ უყვარდათ ეს ადგილი, რომ ანდერძადა სტოვებდნენ, აქვე დაემარხათ. საწყალმა მამამაც ესეთი ანდერძი დატოვა და იმისთვის დავასაფლავეთ აქ.

— შენი წინაპრების სულისკვეთება შენით გადმოვიდა ჩემზედ, რაკი ერთნი შევიქმენით განუყრელად და სამარადისოდ,—მიუგო ქმარმა

და დასძინა:

— იქნება ის აზრიც ჰქონდა აქ ცალკე სასაფლაოს გამართვას, რომ მემკვიდრეებს არ გაემეტნათ მამული გასასყიდათ, არ გაებედნათ ეს, თუნდ უხეიროდ მოწყობილ გარემოებათა გამო: არ ინებებდნენ საოჯახო წმიდა ადგილები სხვას ექელნა ფეხით, ვისმე უცხოსა და გამრიელს.

— მათთვის ალბათ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენაც კი, რომ ადამიანმა დასთმოს თავის მამული და არ შეელიოს მას.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „საქართველო“ № 233.

ნება სრული პატივისცემისა და ერთგულებისა თ-დი ორლოვი“.

✦ **მოიჯარადრეთა გადასახადი.** სახაზინო პალატა ამ მოხლე ხანში გააწერს ახალ გადასახადს ყველა მოიჯარადრეებს და კომისიონერებს არა ნაკლებ მესამე ხარისხისა; 1916 და 1917 წელს დროებითი გადასახადი გეეწერებათ პირველთ იმ მოგებაში, რომელიც მათ მიიღეს 1915 და 1916 წელს, ხოლო მეორეთ, ესე იგი იმ პირთ ვინც სააქციონერო საზოგადოების რწმუნებულებათ და კომისიონერებათ ირიცხებიან, იმ საკომისიოში, რომელსაც ისინი ამ დაწესებულებებიდან იღებენ. ამის გამო მოიჯარადრეებმა უნდა შეიტანონ სახაზინო პალატაში განცხადება შესახებ მათ მიერ აღებულ იჯარებისა 1915, 1914, 1913 და 1912 წლებში, ხოლო სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა კომისიონერებმა მათ მიერ მიღებულ ჯამაგირებისა და საკომისიო ფულისა 1912, 1913, 1914 წლებში. შესაფერის ბლანკებს სახაზინო პალატიდან მიიღებენ. ქუთაისის სახაზინო პალატა უკვე იწვევს მოიჯარადრეებს და ამ პირთ ამ განკარგულების ასრულებლად.

### ქართული დაწესებულებანი

✦ **დღეს** 21 ღვინობისთვეს, საღამოს 5 საათზე ქ. შ. წ. კ. გ. ს. სახალხო კითხვების კომისია მართავს კითხვებს ბავშვთა და მოზრდილთათვის, ბუნდოვანი სურათებით, ვერის უფასო სასადილოში ლექტორად მოწვეულია ილია ნაკაშიძე, შესვლა უფასოა.

✦ **კვირას,** 23 ღვინობისთვეს, იგივე კომისია მართავს საბავშო კითხვებს, ბუნდოვანი სურათებით, წმ. ნიკოლოზის სამრევლო სკოლის შენობაში (19 თებერვლის ქუჩა). ლექტორად მოწვეულია ი. პ. როსტომაშვილი, შესვლა უფასოა. კითხვა დაიწყება სწორედ დილის 12 საათზე.

✦ **დაზარალებული ფშაველები.** თიანეთის ქ. საქვ. საზ. რაიონულ განყოფილებამ წარუდგინა მთავარ გამგეობას სია სოფ. ახადში დაზარალებულ 5 კომლ ფშაველებისა, რომელთაც სულ ერთიანად დაეწოთ სახლები და რაც მათ გააჩნდათ. ზარალი სულ 7300 მანეთს უდრის. განყ. გამგეობა სთხოვს მთავარ გამგეობას დახმარება აღმოუჩინოს ამ დაზარალებულთ.

✦ **დახმარება სკოლას.** ახალციხის საქვ. საზ. გამგეობამ აცნობა ქ. საქვ. საზ. გამგეობას, რომ მან მიიღო 400 მანეთი, რომლითაც რაბათის სკოლის საქმე საგრძნობლად წინ წაიწია და სკოლასთან უკვე გაიხსნა და მოქმედებს საფეიქრო განყოფილება.

✦ **„განათლების“ ქალთა საზ.** გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქ. საქ. საზ. გამგეობის წინაშე რათა აღმოუჩინოს დახმარება 33 მოწაფე ქალს, რომელთა მამები ომში არიან გაწვეულნი.

✦ **ოზურგეთის ქ. საქვ. საზ. განყ.** გამგეობა შუამდგომლობს მთავარ გამგეობის წინაშე გადასდოს 760 მანეთი ოზურგეთის 4 კლასიან ქალთა კერძო სასწავლებლის დამაარსებელთათვის, ვინაიდან ეს სკოლა პირველია ოზურგეთში და მთელს გურიანთისა და ჩოხატაურის სოფ. საზოგადოებას ემსახურება და საზოგადოება განსაკუთრებული თანაგრძნობით შეხვდა. ეს თანხა სჭირდებათ სასწავლო ნივთებისა და ხელსაქმის სწავლებისათვის საჭირო მანქანების შესაძენათ.

✦ **გაემგზავრა მოსკოვს** მთავარ რწმუნებული მოსკოვის სამხედრო სამრეწველო კომიტეტისა ბ-ნი ევგ. ვას. კანდელაკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კავკ. ფრონტზე სამხედრო სამუშაოების ორგანიზაცია.

✦ **თანახმად დეპ. აკ. ჩხენკელის დეპეშის,** ბათომის ოლქში დაბრუნებულ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად ქ. საქვ. საზ. მთავარი გამგეობა შუამდგომლობს 50 ათას მანეთს, ლტოლვილთა მომწყობ მთავარ რწმუნებულის გენ. თამამშევის წინაშე.

✦ **განყოფილებათა მდგომარეობის გაცნობა.** ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე გამოსთქვა სურვილი, რაც შეიძლება ხშირად იგზავნებოდეს კაცი მთავარ გამგეობის მიერ განყოფილებებში საქმის გასაცნობათ და საერთო მოქმედების გასაცხოველებლად.

### ქალაქის დაწესებულებანი.

✦ **ქალაქის ხარჯთ-ღრიცხვა.** ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა 6 მილიონ მანეთშია ნავარაუდევი.

✦ **შაქრის ნიხრი.** გუშინდლიდან ქალაქის დუქნებში და კოოპერატიულ დუქნებში შაქრის ფხვნილი 22 კ. იყიდებოდა, ხოლო შაქრის თავი 27 კა.

✦ **საქვებ საკითხის გამო** შაბათს, 22 ოქტ. კრება დანიშნული.

✦ **განმანაწილებელ ჰოსპიტალს** აფართოებენ 1000 საწოლით.

✦ **სატეხნიკო კომისიის სხდომა.** დღეს ქალაქის სატეხნიკო კომისიის სხდომაა დანიშნული საპოლიტეხნიკუმო მიწების მოსაწესრიგებლად და საელექტრონო სინათლის ნიხრის შესამუშავებლად.

✦ **ფქვილის მიღება.** ქალაქმა მიიღო 52 ვაგონი „რაზმოლის“ ფქვილი.

✦ **ქალაქთა კავშირის** განყოფილება ამ დღეებში მოელის მოსკოვიდან ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 2 მილიონ მანეთს.

✦ **კოოპერატივმა „შრომამ“** შაქარი მიიღო ქალაქის გამგეობისაგან და თავის წევრებზე ჰყიდის ნიხრის კვალობაზე.

### სხვა და სხვა ამბები.

✦ **თ-დ ა. ნ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობა.** როგორც გავიგეთ, ცნობილი ჟურნალისტი და პეტროგრადის ქართველთა საქველმოქმ. საზოგადოების წევრი თ-დი ა. ნ. ჩერქეზიშვილი მძიმე ავათ გამხდარა.

✦ **საზოგადო კრება.** ხვალ, 22 ღვინობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში უნდა მოხდეს ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ გამსესხებელ კასის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია 1915 წლის ანგარიში კასისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ, მოხსენება გამგეობისა კასის წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ და მიმდინარე საქმეები. აგრეთვე ასარჩევია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

✦ **გამოფენა.** გუშინ, 20 ღვინობისთვეს, თბილისში „კრუჟოკის“ საზაფხულო ბინაზე, გაიმართა ფრინველების გამოფენა. გამოფენა გახსნა ა. ბ. სოლოვიოვმა. ქალაქის თვითმართველობის მხრივ გამოცხადდა ქალაქის მდივანი ა. ი. სტავროვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ კარგი ფრინველების გამომფენთ ქალაქმა დაუნიშნა ჯილდოდ ოქროს ჟეტონიო. გამოფენილია სხვა და სხვა ჯიშის ქათმები, ინდოურები, იხვები, ხოხბები, მტრედები, სხვა და სხვა კვერცხები, ინკუბატორები, ბედები და სხ. გამომფენილია აგრეთვე ანგორის ჯიშის თხები, შინაური კურდღლები და სხ.

✦ **თავის მოკვლა.** სასტუმრო „ანგლეტერში“, ოლგას ქუჩაზე, თავი მოიკლა მოსკოვის კომერც. ინსტ. სტუდენტმა ი. ი. მიხაილოვმა, რომელიც კავკ. სატეხნიკო საალმაშენებლო რაზმში მსახურებდა.

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საგანგებო კრება 30 ღვინობისთვესაა დანიშნული.

✦ **შანტაჟისტთა ჯგუფი.** თბილისში შემდგარა ერთგვარ შანტაჟისტთა ჯგუფი, რომელნიც სახლებში მიდიან და პატრონებს ეუბნებიან, რომ გამოგზავნილი ვართ უსასყიდლოთ შევაკეთოთ ელექტრონის ზარები და მავთულებიო. გულუბრყვილო ბინის პატრონები მათ დიდი სიამოვნებით უშვებენ სახლში. შედეგი ცხადია: სანამ სახლის პატრონი მოხედავდეს, ისინი სახლს აცალიერებენ.

### ქუთაისი.

ამჟამად ქალაქის საავადმყოფოში 15 ხოლერით ავადმყოფი წევს. დროზედ მიღებულ ზომების წყალობით ხოლერით თითქმის აღარავინ ხდება ავად, ასე ამ ორიოდე დღეში ერთი შემთხვევაც კი არა ყოფილა.

— 13 ღვინობისთვეს, ადგილობრივ ვაჭარს ბესარიონ ჟორდანიას თავის დუქანში ბოროტ გამზრახველნი შეუცვივდნენ, ჟორდანიას ყელში თოკი წაუჭირეს და იქვე წაახრჩეს. შემდეგ დახლიდან 30 მან. ამოიღეს, 5 მანეთის პაპიროზები ჩაიწყვეს ჯიბეში და მიიმალნენ.

— ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით მომხმარებელი საზოგადოებანი გაიხსნება შემდეგ სოფლებში: ქალადიდისა (სენ. მაზ.), გუდავასა (სოხუმის ოლქი) და ხორაგში (ზუგდიდის მაზრა).

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფ. მარანში (სენაკ. მაზ.) და სოფ. ნაყრალებში (ლეჩხ. მაზრა). სასოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნას.

### თიანეთი.

**ქისტების თავდასხმა.** სოფ. უკანაფშავის მცხოვრებნი სვ. ელქიაშვილი, ბათარა წიკლაური, ქურსიკა ციკლაური, მახარა ხუციშვილი და ვაჟიკა მაჩურაშვილი მიდიოდნენ სოფ. ხახაბოდან ფშავეთში და მოერეკებოდნენ საქონელს ნათელა გოგოლაურთან, რომელსაც ეკუთვნოდა ეს საქონელი, ქისტების მიერ წართმეული წინა დღით. „ხახაბოს მთასთან“ უცებ ატყდა სროლა. ისროდნენ ჩასაფრებული ქისტები რიცხვით 6 კაცი. სროლის შემდეგ გამოცვივდნენ, ეს ქისტები დეეცნენ ამათ და დაუწყეს კონდახებით ცემა. შემდეგ წაართვეს ელქიაშვილს 65 მ. და თოფი პატრონებით, ხუციშვილს 50 მ. და ხანჯალი, ცელაურს 40 მ. თოფი და პატრონები, მაჩურიშვილს 11 მან. გაირეკეს ეს საქონელი და მიიმალნენ.

— **თავდაცემა.** „ვაძეთის ჭალაში“ კონწა ხაიაურს, რომელიც ბრუნდებოდა გროზნოს ოლქიდან სახლში დასცემიან ქისტები: იბრაგიმ და სულეიმ კასაევები და მესამე უცნობი, თოფებით შეიარაღებულნი და გაუცარცვავთ და წაურთმევიათ 30 მ. და ვერცხლის ხანჯალი.

### დუშეთი.

**ქურდობა.** ს. გრემის ხევში ნ. ტერიაშვილის ბინა გაუტეხიათ და წაუღიათ 254 მ. ნივთები.

### ახალციხე.

**მკვლელობა.** ს. ჩალაში ვიღაც უცნობებს მოუკლავთ ფანჯრიდან ისმაილ ჯოხუნ ოღლი.

## ეველინა რაჟდენის ასული წუწუნავა

11 ამ თვეს, ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა ეველინა წუწუნავა, მსახიობი ქალი, ჩვენი ნიჭიერი რეჟისორის ალ. წუწუნავას ღვიძლი და. ნიჭიერი, ცქრიალა, მკვირცხლი, თამამი, მაგრამ უმანკო, მშობლიური სცენის უანგარო მუშაკი და მოყვარული. აი რითი დახასიათდება უკურნებელი სენის უდროო მსხვერპლი ძვირფასი ეველინა. ეველინას კარგად იცნობდა თბილისის სახალხო სახლი, ქუთაისი, სოხუმი და სხვა. ოზურგეთისათვის ხომ ობოლი მარგალიტი იყო. ეველინა ნაკისრ ყველა როლის განსახიერებას პირნათლად ეკიდებოდა, მაგრამ ზოგიერთა როლებში ის შეუდარებელი იყო. (მაგალითად „ქრისტინე“). განსვენებული სულ ახალგაზრდა იყო და ჭლექმა სწორეთ მაშინ დასჯაბნა, როცა მისი ნიჭი იფურჩქნებოდა. წელს განსვენებული აბასთუმანში იყო და იქიდან გვარიანად მოკეთებული ოზურგეთ-ნატანებ-შუა გზაში გაცივდა დასამს დღეში კიდეც მიიცვალა და მით ყველა მისი ნაცნობ-პატივის მცემლები მწარეთ დაგვაღონა.

განსვენებული დაკრძალეს თავის სამშობლო ქალაქ ოზურგეთის საზოგადო სასაფლაოზე, 15 ღვინობისთვეს. სამგლოვიარო პროცესიას მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც ოზურგეთელები, ისე შორიდან მოსულები. მეტად მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ქალებმა. საუბედუროდ ბევრ საზოგადო მოღვაწის დასაფლავებას დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი უპირფერო და გულწრფელი გლოვა იშვიათად შემინიშნავს. სჩანს, ჩვენი პროვინციაც თანდათან ეჩვევა საზოგადო მოღვაწის გულწრფელ პატივისცემას და მის დაფასებას... ეს აუარება ხალხი როგორც ნამდვილი ჭირისუფალი უმანკო ეველინას ისე დასტიროდა თავს. ანდერძის აგების შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა (ნახევარი ლექსათ) ქ. საფო მგელაძისამ. შემდეგ განსვენებულის ცხედარი ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო ოზურგეთის სცენის მოყვარეთა სახელით ეველინას მოწაფემ და მისმა სცენაზე მემკვიდრემ ქ. პელო ქარცივაძემ. სიტყვა მეტისმეტი გრძნობით აღსავსე და გრძნობითვე წაკითხული იყო და მსმენელები ატირა. ეზოდან ცხედარი გამოასვენეს ქალებმა. ახალი თეატრის წინ მცირე პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა აპოლ. წულაძემ, რომელმაც მოკლეთ დაახასიათა ეველინას მამის რაჟდენის მთელი ოჯახის იშვიათი თვისება—საზოგადოებრივობა და დამსწრე ქალებს მოუწოდა, ცხოვრებაში მიბაძონ ძვირფას ეველინას, როგორც მეტად გამბედავ ადამიანს, მაგრამ ამავე დროს მტრედივით უმანკოს და ქალური კდემა მოსილობით აღსავსეს, საზოგადო, საკაცობრიო და ეროვნულ სარბიელზე მშრომელს და საზოგადო საქმის ზვარაკს.

განსვენებულის ჭირისუფლებმა აუარება დეპეშები მიიღეს როგორც საზოგადო დაწესებულებებისგან, ისე კერძო პირთაგან. ყველა დეპეშა თითქოს ერთი ავტორის არისო, იმას მოწმობს, რომ ეველინას აფასებდნენ და იცნობდენ, ისე როგორც სპეტაკ და ყველას სათაყვანო უმანკო პიროვნებას. სცენის მუშაკნი სტირიან ძვირფას „ქრისტინეს“—განსვენებულის საყვარელ როლს.

განსვენებულის პატივსაცემად ოზურგელმა ქალებმა და სცენის მოყვარეებმა შეჰკრიბეს ფული, რომელიც გადაეცა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაგებ ფონდს.

**დამსწრე—პატივისმცემელი.**

## შავი ქვის მრეწველებთან

(შთაბეჭდილებანი)

ამ უკანასკნელ ხანში, თითქმის მთელი ქართველი საზოგადოების გულის ყური ჭიათურისაკენ იქმნა მიპყრობილი. ძველად ქართველთა კუთვნილი ულევი სიმდიდრე შავი სამეფოსი, ჩვენი უნიათობით და ვაჭრობა-მრეწველობის განუვითარებლობით, უცხოელთა ხელში გადავიდა. უცხოეთიდან მოსულნი მკვიდრდებოდნენ ქართველთა ადგილებში და მათი სიმდიდრით აძლიერებდნენ თავის მდგომარეობას, ხოლო ადგილობრივი მკვიდრნი, გუშინდელი ბატონ-პატრონნი ამ სიმდიდრისა, მოსულთა მსახურებად იქცეოდნენ. მაგრამ ყოველივე მდგომარეობის გარდამქნელმა ომმა ისევ გამოაჩინა შესაძლებლობა, რომ ძველად დაკარგული სიმდიდრე ისევ ქართველთ ჩაეგდოთ ხელში. მდგომარეობის ასეთმა უეცარმა შეცვლამ მაგრად დასჩიძა ქართველთა ყურადღების ძარღვი და მისი გულის ყური ჭიათურისაკენ აბრუნა. ყველას აწუხებდა ბედი შავ ქვიანი მამულებისა. საქმესთან შორს მდგომი პირნიც კი ღელავდნენ.

ყველა შესცქეროდა შავი ქვის საბჭოს—ერთად ერთ ქართულ დაწესებულებას, რომელიც ყველაზედ უფრო უფლება მოსილი იყო ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. საზოგადოების ერთ ხანად დუმილის შემდეგ საყოველთაოდ გახმაურდა სასიამოვნო ცნობა, რომ საბჭო თავს იდებს ამ საქმის მოწყობას და მრეწველთა საზოგადო ყრილობას იწვევსო.

ადვილად ასახსნელი სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს ქართველნი და საზოგადოების თითქმის ყველა წრეები ელოდებოდნენ ყრილობას.

დადგა დროც მწრეწველთა შეკრებისა. ერის წინაშე პასუხსაგებ მდგომარეობის სრული შეგნებით ჩამოვიდნენ ისინი ქუთაისში, რომ დახმარებოდნენ მრეწველთა საბჭოს, თავის რჩევითა და ნდობის გამოცხადებით თავს ედო ამ საქმის მოგვარება. ერთი ხმა არ ამაღლებულა ამის საწინააღმდეგოდ, არც ერთ მრეწველს არ დაუწევია თავი უიმედობის გამოსათქმელად.

ყველა გრძნობდა, რომ თუ საბჭომ მოინდომა, ყოველი უპირატესობა მის მხარეზედ არის.

ყრილობის იმ თავითვე აღებულ სერიოზულ და ფრიად საქმიან ტონში, ცხადდებოდა ძველთაგანვე აღიარებული თვისება ქართველისა, რომ თუ გასაჭირში ჩავარდა იგი, მხიარული და მომღერალი, შესძლებს სერიოზულ და შორს მჭვრეტელ მოსაქმედ გახდეს.

—

საბჭოს დარბაზში ერთად თავი შეეყარათ მრავალ ქართველ მრეწველს. მათ მხილველ ქართველს ლაღი სიხარულით ევსებოდა გული. ქართველ კრებებისთვის უჩვეულო საუბარი მხიარულ იმედს აღძრავდა ყველაში.

განა შესაძლებელი იყო, თუ გინდ ამ რამდენიმე წლის წინათაც, ასეთი საქმიანი ხალხის ერთად შეყრა, სრულიად სოლიდარული კრება?

ვინც ამ ყრილობას დაესწრო, უსათუოდ იგრძნობდა ერთ უბედნიერეს წამს თავის ცხოვრებაში. ამ კრებაზედ ნათლად გამოაშკარავდა, თუ რამდენად აიწია საქართველოში ეროვნულმა შეგნებამ.

ირჩეოდა კრებაზედ საფუთო გადასახადის მომატების საკითხი.

არ ყოფილა შავი ქვის მრეწველთა ისეთი ყრილობა, რომელზედაც ეს საკითხი აღძრულიყოს, რომ მრეწველთა შორის აურზაური არ გამოეწვია.

ვერ შერიგებოდნენ იმას, რომ მათ შემოსავალს რაიმე მოჰკლებოდა საზოგადო საქმის საკეთილდღეოდ და ხშირად ამ საკითხს წინააღუდგებოდნენ ისეთი პირნიც კი, რომელთაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო მდგომარეობა უჭირავთ. მაგრამ საჭირო იყო ქართველთა ინტერესების უცხოელებთან შეტაკება, რომ მთელი ყდილობა ერთი აზრით და საერთო ეროვნულ ინტერესით შეერთებულიყო. ძლიერმა, ფოლადივით ნაჭედმა, ეროვნულმა ნებამ ძირს დასცა კერძო ინტერესები და იძულებულ ჰყო პირადი კეთილდღეობა თუ განწყობილება საერთო საქმისათვის შეეწირნათ. უცხოთაგან თავდაცვის გრძნობამ იმდენად იფეთქა მათში, რომ როდესაც უცხოელნი წინააღმდეგნი წავიდნენ მათი საერთო გადაწყვეტილებისა, მრეწველთა ერთმა ჯგუფმა წინადადებაც კი შეიტანა სრულიად გაეძევებინათ ისინი ყრილობიდან.

—

რადგანაც უცხოელებზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება ამ საკითხის გვერდზედ ახვევა. ჭიათურაში ფრიად მნიშვნელოვანი რიცხვია ბერძენ მრეწველთა. გერმანელი და ინგლისელი მრეწველნი, რომელნიც მნიშვნელოვანი კაპიტალით იწყებდნენ წარმოებას, მოჰქონდათ საქართველოში ევროპის კულტურა წარმოების ახალი სისტემებით, კარგად მოწყობილი ქარხნებით და წმინდა კომერციული ცოდნით აღჭურვილნი ისინი უნებლიედ ამზადებნენ ნიადაგს ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის.

მათთან ერთად მოდიოდნენ ბერძენი ჩარჩები, რომელთაც არც კაპიტალი ჰქონდათ, არც უნარი საქმის წარმოებისა და ქართველებთან შედარებით მხოლოდ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ უცხო ენები იცოდნენ და საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობაზე ზერელე წარმდგენა ჰქონდათ. გარეგნული მოხდენილობით და უცხო ენებზე ტყაპინით, ქართველებთან კარგი განწყობილებით ისინი ნდობას იპოებდნენ ქართველებში და ექსპორტიორობას იწყებდნენ. ქართველი მემამულენი აძლევდნენ შავი ქვის ბაქანზედ გადატანას და როცა იგი უკვე დაგროვილი იყო, ბანკებში კრედიტს იხსნიდნენ და ჭიათურიდან ქვის გაზიდვას იწყებდნენ. ესეთი საშუალებით გამდიდრებულა არა ერთი უკაპიკო ჩამოსული ბერძენი და ჭიათურას საჩქაროდ მოსცილებია ვალების გაუსტუმრებლად. მრავალი ქართველი მრეწველი ეხლაც დაეძებს ბერძენ ექსპორტიორებს, რომელთაც ათი ათასობით გაუტაცნია მათი ფული.

აი, ეს ბერძნები, რასაკვირველია, ერთხმად წინააღუდგნენ მრეწველთა სურვილს, როგორც მარად წინააღმდეგნი იყვნენ ყოველივე ქართული საქმისა და დასმენით და სხვა ქვენა საშუალებით ძირს უთხრიდენ მრეწველთა საბჭოს მრავალ კეთილ განზრახვას.

უკანასკნელი ყრილობა ერთი უმნიშვნელესთაგანი იყო ამ ოცი წლის განმავლობაში მომხდარ ყრილობათა შორის. თითქმის ყველამ თავისი პირადი ინტერესები საერთო საქმეს ანაცვალა. დავიწყებულ იქმნა ყველა ძველი ანგარიშები და ყველამ თავი დახარა იმ საქმის წინაშე, რომელიც საეროვნო საქმედ იქმნა აღიარებული. ამ ყრილობაზე მოხდა ისტორიული შეთანხმება შავი ქვის საბჭოსი და ნიკო ნიკოლაძესი. შავი ქვის საქმეს დიდი ხნის წინად დაშორებულ საქართველოს ერთი უდიდესი პირთაგანი, ისევ მიიწვიეს გასაჭირის დროს. ის, არც ახლო დაშორებული ხნის წინათაც შეუძლებელი იყო, შესაძლებელი გახდა და ორივე მხარემ ხელი გაუწოდეს იმ საქმის მოსაწყობად, რომელიც ორივესათვის ფრიად ძვირფასია. ყრილობამ აუცილებლად სცნო ისეთი პირის საქმეში ჩარევა, როგორიც ნიკო ნიკოლაძეა და თ-დმა კიტა აბაშიძემ, მისთვის ჩვეული ჯენტლემენობით საჭიროდ სცნო დაეახლოვებინა იგი, რომლის ნიჭი, დ ცოდნა შავი ქვის საქმეებისა და დიდი ხნის გამოცდილება იშვიათია ქართველთა შორის.

ესეთი ბუნება საქმის სირთულისა და სურვილი მისი კეთილად დაგვირგვინებისა, რომელიც აერთებს ორ შეურიგებელ მოწინააღმდეგეს, უტყუარი საბუთია მისი, რომ მთელი ერისათვის საინტერესო საქმე სასურველად დასრულდება.

**ლ. ჯაფარიძე.**

## ქართული ბეჭდვითი სიტყვა

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ სწერს: „ცნობილია, რომ ომიანობამ ყაჩაღობის გაძლიერება გამოიწვია. მართლაც, ხალხის კეთილდღეობა დაეცა, გალატაკებამ მასიური ხასიათი მიიღო. აი საუცხოვო ნიადაგი ყაჩაღთა თარეშის. ახლა სახეში მიიღეთ დეზერტირები, რომელთა უმრავლესობა ადრე თუ გვიან ყაჩაღთა ბანაკს ეკედლება სწორეთ ამით აიხსნება ყაჩაღთა თარეში საქართველოში, რაზედაც ყოველ კუთხიდან სჩივიან. ამასვე ვამჩნევთ სომეხ-თათართა პროვინციებშიც. აბა ვინ იფიქრებდა, თუ ამ სასტიკად დასაგმობ მოვლენას ნაციონალისტური მიზნით გამოიყენებდნენ და ერთა შორის დამოკიდებულებას გამწვავებას შეეცდებოდნენ!

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. სომხის ნაციონალისტებმა ყაჩაღობა თათრების საქმეთ მონათლეს! გადაიკითხეთ დაშნაკელთა „ჰორიზონი“ და ცნობილ ქრ. ვერმიშევის გაზეთი „ბაკუ“ და თქვენ აქ ამოიკითხავთ, თითქოს ყაჩაღთა ბრბო თათრებისაგან შესდგება, რომელნიც სომეხთა სოფლებს აწიოკებენ და მიტომაც მათ თავდასხმისაგან დასაცველათ მთავრობისაგან სომეხთა შეიარაღებას ითხოვენ.

დღეს ამასვე სხვა სიტყვებით იმეორებს სომეხთა ნაციონალისტური პრესა. ვისაც ციხის კარები უხილავს ან სასამართლოში ფეხი შეუდგამს, მან კარგათ იცის, რომ ყაჩაღობა და ქურდობა ინტერნაციონალური ხელობაა. ამ ბრბოს მეთაურები ეროვნებას ყურადღებას როდი აქცევენ. შეიძლება სომეხთა პროვინციებში თათარი ყაჩაღები სჭარბობენ. მერე რა? ნუ თუ ეს სომხის ნაციონალისტებს საბუთს აძლევს თათრების წინააღმდეგ გამოილაშქრონ და განაცხადონ: თათარია განათლებული ნაწილის (ინტელიგენციის) და ყაჩაღების სიტყვა ერთი არისო.

დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ დროს უმთავრესად მეგრელი და გურული ყაჩაღები დათარეშობენ. მაგრამ არავის აზრათაც არ მოსვლია მათს სამარცხვინო საქმეებში პასუხის მგებლად ყველა მეგრელი და გურული გამოეცხადებინა.

მაშ რად დასჭირდათ სომხის ნაციონალისტებს ასეთი სიყალბის ჩადენა?

უნდა ვიფიქროთ, ისინი ასე იქცევიან, რომ თვისი მიმდევარნი შეაიარაღონ და მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტისას თავისი მიზნისათვის გამოიყენონ. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი გერმანელ-ოსმალთა აგენტებს იხსენიებენ და მათ ყაჩაღთა იდეიურ მეთაურობას აწერენ. დღეს ხომ ადვილია „პატრიოტული“ ფრაზეოლოგიით ბნელი საქმეების დაფარვა და თავისი საქმეების მოჰხრაკება

დაბოლოს, „თან. აზრი“ იმედს გამოსთქვამს, სომხის დემოკრატია გამოასწორებს საქმესო...

## კიდევ გიმნაზია

კარგა ხანია რაც ზუგდიდელები გიმნაზიაზე ოცნებობენ, მაგრამ ამ ოცნებას, როგორც მოსალოდნელი იყო, განხორციელება არ ეღირსა.

რამოდენიმეჯერ გაიმართა კრება ამის შესახებ, მაგრამ კარგი ორგანიზატორის და მეთაურის უყოლობის გამო უშედეგოთ დაიშალა. სადაც ჯერ არს, რამდენჯერმე შუამდგომლობა აღძრეს ამ საკითხის გამო, მაგრამ ამას ან სრულებით ყურადღება არ მიაქციეს ან და ისეთი მოთხოვნილებები წარუდგინეს მცხოვრებთ, რომ მათ ვერ შესძლეს დაკმაყოფილება.

ეს მოსალოდნელიც იყო, ყველამ კარგად იცოდა, რომ გიმნაზიის გახსნა ისეთ მაზრაში, სადაც არც ერთი ერთმანეთს არ ეთანხმება, ადვილი არ იყო, მაგრამ ზუგდიდლები, რაკი ერთხელ ჩაებღაუჭნენ ამ ყოველმხრივ გამოუსადეგარ სასწავლებელს, ხელი არ გაუშვეს და მისდიეს თავიანთი უნაყოფო ოცნების განხორციელებას. ვერც ერთი მათგანისთვის ვერ გითქვამთ, რომ გიმნაზია ჩვენთვის ზედმეტი ბარგია, გიმნაზიებმა ჩვენი მრავალი ახალგაზდები ხელიდან გამოგვტაცეს და მთავრობის მოხელე და კაბინეტის ხალხად გაგვიხადეს. მათი ოცნება მაინც იქით მიისწრაფვის, რომ თავიანთი შვილები კაკარდიან ქუდებით და ბჭყრიალა ღილებით ნახონ.

მათთვის სრულიად უცხოა სიტყვა მეურნეობა, მრეწველობა! სოფლის კაცს თუ ცოტა შეძლება აქვს, შვილი გიმნაზიაში შეჰყავს, მას ვერ დაუშლი ამას, მისთვის ვერ გითქვამს, რომ შენი შვილი სამეურნეო ან კომერციულ, ან სხვა ტეხნიკურ სასწავლებელში მიაბარეო. ის გიპასუხებს;—მიწის მუშა მე ჩემი თავიც მეჯავრება და ჩემი შვილიც ამ გზაზე როგორ დავაყენოვო, ჩემი შვილი „ჩინოვნიკად“ მინდაო, რომ ყველგან პატივი და სახელი ჰქონდესო.—აი ასეთი უბადრუკი აზრი გამეფებულა დღეს-დღეობით ყველგან ჩვენს დაბალ საზოგადოებაში—მშრომელ ხალხში, რამოდენიმე პირთა გამოკლებით. ამისთვის საჭიროა შეგნება, გათვითცნობიერება. საჭიროა და ძლიერ საჭიროც შეიგნონ, რომ ჩვენ დღეს გვჭირდება მომზადებული მეურნე, კომერციული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზდობა, და რაც შეიძლება მეტი ცხოვრებისთვის მომზადებული ელემენტები. მხოლოდ ამათშია დღეს ჩვენი ხსნა და მომავალი ბედნიერება, მხოლოდ და მხოლოდ ამათ შეუძლიანთ ჩვენს ქვეყანას სარგებლობა მოუტანონ და ამომავალ ვარსკვლავად მოევლინონ მიძინებულ ხალხს. ასეთი შვილების აღსაზრდელად საჭიროა აუცილებლად სამეურნეო, კომერციული, ტეხნიკური და სხვა ამგვარი სასწავლებლები, საჭიროა ჩვენი ქალაქები და პროვინციე-

ბი მოფენილ იქნეს ასეთი ტიპის სასწავლებლებით ნაცვლად ყოვლად უსარგებლო გიმნაზიებისა. ასე ხდებოდა ყველა კულტურულ და დაწინაურებულ ქვეყნებში, ასე უნდა მოხდეს ჩვენშიაც! ვიაროთ ნაცად გზით, თუ გვინდა ჩვენც დავწინაურდეთ და ავღორძინდეთ!

ძ. გიგიბერი.

# ბინის საკითხი

მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ სახლის პატრონებსა და ბინის დამქირავებელთა შესახებ.

საზოგადოდ თბილისში მეტად გაძნელდა ბინის დაქირავება. სასტუმროებშიაც კი ადგილი აღარ მოიპოება და ჯერში დგანან. ფასს ნუღარ იკითხავთ. რა დღეში არიან თვით ბინის პატრონები, ესეც გავიგოთ.

ზოგი სახლის პატრონი უკანონოდ იქცევა, არც მაგრე რიგად ეხლანდელი დამქირავებელნი იქცევიან კანონიერად.

გაასამართლეთ და დასაჯეთ სახლის პატრონი როცა სტყუოდეს, მაგრამ დასაჯეთ მქირავებელიც, როდესაც ის სარგებლობს დროით და თვითნებობას ეწევა. ის ქირაობს ბინას 6 ოთახს 70 ან 80 მანეთად იმ პირობით, რომ თითონ იცხოვროს თავისი ოჯახით და პირობით არც ნება ეძლევა გააქირაოს სხვაზე, მაგრამ ამათ კანონი ფეხქვეშ გასთელეს და 6 ოთახში 4 აქირავებენ. იღებს ერთი სამად ქირას სახლის პატრონის ხარჯით: იმისი წყლით, იმისი შპალერით, რომელიც ერთი ხუთად უყიდნია, იმისი შეღებილის იატაკით, რომელიც ერთი ათად დასჯდომია, იმისი მეეზოვეთი, რომელსაც 12 მანეთის მაგიერ 40 მანეთს აძლევს, იმისი გაათკეცებულის გადასახადებით, იმისი ყოველივე პასუხისმგებლობით; ასეთმა დამქირავებლებმა სახლები ბოსლებად გადააქციეს. ამას არ უნდა უწოდოთ თვითნებობა და სპეკულიაცია? სახლის პატრონებიც იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სპეკულიანტ მქირავებლებს. მქირავებელთან ბინის დაჭერის შემდეგ ოცი მქირავებელი იყრის თავს იმ ერთს ბინაში და სახლის პატრონის სამართლიანი გულისწყრომა ითელება ფეხქვეშ და პირიქით მქირავებელი ემუქრება, რომ ის იჩივლებს და ან 3000 მანეთს გადაახდევინებენ და ან 3 თვით ვირის აბანოში ამოაყოფინებენ თავს! ამას არც ბატონნი პირუთვნელნი კომისიის ზოგიერთი წევრები თაკილობენ. 6 ოთახში 4 აქირავებენ და ბაჯაღლოსაც ერთი სამად ინაზღაურებენ.

თუმცა ტრამვაიზე 28 მგზავრის ალაგია, მაგრამ შიგ 88 მგზავრი ჯდება და თითო შაურს ართმევენ და ეს ზედმეტი ფული კონდუქტორების ჯიბეში კი არა, ქალაქის სასარგებლოდ მიდის და ამიტომ ზარალიც არ ექნება ქალაქს, მაგრამ მაინც ნიხრის მომატებას თხოულობენ და იმითი ხსნიან, რომ მსოფლიო ომის გამო დიდი ხარჯებიაო; თუ კი ტრამვაის ოთხკეცა შემოსავალი ვერ ფარავს ტრამვაის ხარჯებს, განა ჩვენ ბეჩავი სახლის პატრონები აქ არა ვცხოვრობთ? განა ჩვენ ცაზე ვართ ჩამოკიდებულნი და არავითარი ხარჯი არა გვაქვს? მაშ რა არის ეს ერთი-ორად გადიდებული გადასახადები? რა არის ერთი-ოთხად მეეზოვეების ჯამაგირი? მაშ რა არის ის ერთი-ხუთათა და ათად შპალიერების გაკვრა, იატაკის შეღებვა და ცალკე სამხედრო გადასახადები და ათასი კიდევ სხვა მოულოდნელი ხარჯები? რა მხრითაც გნებავთ მოუაროთ ყოველ სახლის პატრონს მანეთის ნაცვლად ხუთი და ათი მანეთი უჯდება სახლის მორთულობა და შეკეთება და რაც შეეხება კერძო ხარჯებს: სმაჭამაში და ჩაცმა-დახურვაში ჩვენც იმას ვიხდით რასაც ჩვენი 20 თავიანი მქირავებლები და რად უნდა ჰქონდეთ მათ ზნეობრივი ან იურიდიული ზედმეტი უფლება, რომ ერთის მაგივრად 20 დგმური შემორეკონ ჩვენს ნაამაგდარ და ვალით და ვახშით აშენებულს სახლებში ჩვენსავე ხარჯზე და სახლის პატრონთ კი უფლება არ გვქონდეს ხმა ამოვიღოთ? განა მეორე და მესამე სართულიანი გამქირავებელნი თავდაუჭერელს სპეკულიაციას არ სჩადიან? რატომ არ ისჯებიან?

ამ საკითხს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და დამნაშავე გამოაშკარავდეს. ბინას სახლის პატრონნი იმდენად არა, რამდენადაც თვით ბინის დამქირავებელნი აძვირებენ. ვისგანაც ჯერ არს, ამ სპეკულიანტებს უნდა კბილი გაეჩხრიკოს.

ი. ი. გვ—იანი.

# ქარ. საქველმოქმედო საზ. წლიური კრება

(გაგრძელება)

**მ. ვ. მაჩაბელი** აუწყებს კრებას, რომ საქვ. საზ. გამგეობა წლიურად კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უგზავნის 435 მანეთს, მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის ფულიდან მთავრობის მასწავლებლის შესანახად ორ პირველ დაწყებით წერა-კითხვის სკოლაში იმ პირობით, რომ ისინი ნიშნავენ მასწავლებელს და ჩვენ თვალყურს ვადევნებთო.

**დ. მ. დუმბაძე** ეკითხება სკოლების მეთვალყურეს, რამდენია პირველ დაწყებითი სკოლებიო.?

**იერ. გულისაშვილი.** ექვსი და ეხლა ერთიც იხსნება. ძალიან ყურადღებას ვაქცევთ საღამოს კურსებს მოზრდილთათვის და ბევრიც დაიარება სასწავლებელში. მთავრობა დაგვპირდა ყველა სასწავლებლებში საღამოს ყოველდღიურ კურსების ნებართვისა. განსაკუთრებით დიდ ენერგიას იჩენს ამ მხრივ მასწავლებელი ქალი ბრეგვაძისა. დროს მოსაგებად ამ კურსებს ისე ვაწყობთ, რომ სადილ წინ ერთ ჯგუფს ვასწავლით, სადილ შემდეგ მეორეს. გარდა სწავლისა ქ-ნ ბრეგვაძეს უსწავლია აქიმობა და რა დროც უნდა იყოს მიდის ავადმყოფთან საშველად, ბევრჯელ ფარნით ხელში, შუაღამისას, არ ერიდება წასვლას.

**ექიმ ბენაშვილის მოხსენება.**

ბ-ნ გულისაშვილის სასკოლო საქმის მოხსენების შემდეგ ექიმმა ბენაშვილმა, ბათომის განყ. საავადმყოფოს გამგემ, საზოგადო კრებას მოახსენა საავადმყოფოს მდგომარეობა ს. ჩურუქსუში. მისი სიტყვით საავადმყოფო 12 იანვარს დაარსდა. საავადმყოფო-ამბულატორიაში 10 საწოლი იყო. საავადმყოფოს მიზანია აღმოეჩინა უფასო სამკურნალო დახმარება კინტრიშის ნაწილის საზოგადოებისათვის განურჩევლად ეროვნებისა, რომლის უმრავლესობა შეადგენენ ქართველი მაჰმადიანები.

გარდა ამისა საავადმყოფო უჩენდა დახმარებას ლატიშთა ქალების თავშესაფარს, რომელმაც დაჰყო ჩურუქსუში 4 თვე და სომეხთა თავშესაფარს. ხალხი, მომეტებული ნაწილი ქართველი მაჰმადიანები, დიდის აღტაცებით შეხვდა საავადმყოფოს. 29 იანვარს, საავადმყოფომ დაიწყო მუშაობა. ავადმყოფთა მოძრაობა შემდეგია: თებერვალში 745 სული, აქედან ქალების განყოფილებაში 433, კაცებისაში 312; მარტში—500 (ქ. 241, კაც. 259); აპრილში—373 (ქ. 181, კ. 191), მაისში—671 (ქ. 338, კ. 333); თიბათვეში—553 (ქ. 288, კ. 285); მკათათვეში—438 (ქ. 196, კ. 242); მარიამობისთვეში—599 (ქ. 249, კაც. 350); ენკენისთვეში—458 (ქ. 250, კ. 200); სულ ამბულატორიაში დახმარება იყო 4323, ქალი 2183, კაცი 2140. მწოლიარე ავადმყოფი ქალების განყოფილებაში იყო 48, კაცისაში 43. ამავე საავადმყოფოსთან იმყოფება აფთიაქი, საიდანაც წაღებულია წამალი 5700 რეცეპტით. საავადმყოფოს გარეშე სამკურნალო დახმარება იყო აღმოჩენილი 300 კაცამდის.

**ახალციხის განყოფილების წარმომადგენელი** ქ-ნი ნ. გ. გალდავაძისა მოუთხრობს კრებას, რომ უსახსრობის გამო პირველ ხანებში განყოფილების გამგეს საშუალება არ ჰქონდა ემოქმედნა. 1916 წ. მიუღიათ 3 ათასი მანეთი მთავარ გამგეობისაგან და საქმეც გაუფართოებიათ. აქედან დაურიგებიათ გადმოხვეწილებისათვის ჯარის კაცების ოჯახებისათვის და სხვ. სათესლე მასალის შესაძენად. რაბათში ქალთა სკოლას 700 მანეთი და დახმარება აღმოუჩენიათ და სხვ. საშუალებათა გასაძლიერებლად გაუმართავთ წარმოდგენები. გაუმართავთ 2 თავშესაფარი—ს. უდეში და ახალციხეში. პირველში 32 ბავშვია, მეორეში 25. თავშესაფართან გაუმართავთ სკოლა, სადაც წერა-კითხვის გარდა ასწავლიან ვაჟებს ხელობას, ქალებს ჰრა-კერვას. ცდილობენ შეიძინონ ეზო და სახლი.

**ფოთის განყოფილების წარმომადგენელი** გ. ჯაფარიძეს მოხსენებიდან ჩანს, რომ განყოფილება გახსნილია ნოემბერში. მათი საზრუნავი საგანი ყოფილა უმთავრესად წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დახმარება. მათ გამგეობისაგან მიუღიათ 5 ათასი მან. და სთხოვს კრებას კიდევ მოუმატოს ფული ფოთის განყოფილებას.

**სამტრედიის განყოფ. წარმომადგენელი** მღვ. ხუნდაძე აუწყებს კრებას, რომ განყოფილების რაიონი 9 სოფლის საზოგადოებისაგან შესდგება. ყველგან გაჭირვება და სიმშილია გამეფებული. ის კაციც, ვინც 500 მანეთს იღებდა შემოსავალს და უბრალო ხლეხიც სიმინდს გაიძახის მოგვაწოდეთო. გაჭირვებულთა რიცხვი ასი-ათას სულს უდრის. ყველა მარჩენალი ბრძოლის ველზეა გასული. არის თურმე ისეთი ოჯახი, სადაც ორი ქათმის და ერთი თხის მეტი ვერაფერი უპოვია ცნობების შემკრებ კომისიას. ამათთვის გამგეობას შეძლებისა და გვარად დახმარება აღმოუჩენია. განყოფ. გამგეობას ქალთა დარბევა აუცდენია თავიდან. მიუმართავს გუბერნატორისათვის და კრების ნებართვა მიუღიათ. მოედანზე შეკრებილა 20 ათასზე მეტი ქალი და კაცი. კრებაზე ულაპარაკნიათ და დაურწმუნებიათ ისინი, რომ დარბევა ვნებას მოგვიტანს და სხვა არაფერსო. განყ. გამგეობა თავის ხარჯით ზრდის ორ ობოლ ბავშვს. მართალია შავრაზმელები გვიშლიან ხელს, მაგრამ ხალხის თანაგრძნობა ჩვენსკენააო, ბრძანა მ. ხუნდაძემ.

**გორის განყოფ. წარმომადგენელმა** სვ. მაჭავარიანმა განუცხადა კრებას, რომ განყოფილება დახმარებას უწევდა ჯარის კაცების ოჯახებს, დახმარებია წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, ცდილობდა შეძლებისა და გვარად სურსათის მიწვდას ისეთ პურიან სოფლებშიც კი როგორც შინდისია, რომელიც დამშეული იყო, აგრეთვე შეუძენია 400 მან. წიგნები და დაურიგებია სამკითხველოებისათვის, ობლებისათვის დახმარება გაუწევია, მოუწყვია ცხინვალსა და ახალქალაქში ბიურო სოფლის გაჭირების აღსანუსხად, ესავე ბიურო წერილებს უწერდა თ-დ დიასამიძის ბინაზე ომში წასულებს და ჰკრეფდა ცნობებს ომში დაკარგულების შესახებ, საჩაიე დაუარსებიათ ხოლერის წინააღმდეგ. ამ საჩაიედან 2 წლის განმავლობაში 8000 სულს უსარგებლია, სს. ქურთასა და მეჯვრისხევში არსებულ საფეიქრო სკოლებისათვის დახმარება აღმოუჩენია პირველისთვის 200 მანეთი, ხოლო მეორე საფეიქრო სკოლისთვის 150 მან. და სხვა.

**თელავის განყ. წარმომადგენელი** ივ. პაატაშვილი მოახსენებს, რომ განყოფილება იანვრიდან გახსნილა. ამ დროიდან მას დაუარსებია ბიურო ომში მოკლულთა და ტყვეთ წაყვანილთა შესახებ ცნობების შესაგროვებლად. ბიურო აწარმოებს ტყვეებთან მიწერ-მოწერას და ამანათების გზავნას, რადგან ბევრ წერა-კითხვის უცოდინარობის გამო უძნელდება წერილების გზავნაო. ამის გამო მთხოვნელები მოდიან ბიუროში არამც თუ თელავიდან სიღნაღის მაზრიდანაც კიო. დახმარებია ფულით ჯარისკაცების მოსწავლე შვილებს, როგორც თელავში ისე სოფლად. სეტყვისაგან დაზარალებულა ზოგიერთი სოფელი. განყოფილება დახმარებია დაზარალებულთ და 250 ფუთი ფქვილი გაუგზავნია. გარდა ამისა ს. შაქრიანში დამპალ ციებასთან საბრძოლველად გაუგზავნიათ ექიმი და მიუწვდიათ წამლებიც. განყ. გამგეობა აპირებს მოსამზადებელ კლასების გახსნას ჯარისკაცთა ბავშვებისათვის და თხოულობს დახმარებას.

**ზესტაფონის განყ. წარმომადგენელი** მღ. კ. დ. ანთაძემ მოახსენა კრებას, რომ ვიდრე განყ. დაარსდებოდა, ერთი „დამხმარე საზოგადოება“ დაარსა რომელიც აგროვებდა ფულს, მართავდა ლატარიას, ჰკრეფდა საწევრო ფულს და საცვლებს უგზავნიდა ამ ფულით ომში გასულ ჯარისკაცთ. ივლისში დაარსდა განყოფილება, რომლის გამგეობამ უპირველეს ყოვლისა დაარსა სარეგისტრაციო პუნქტები. შორაპნის მაზრაში არ იყო ოჯახი, რომ სიმინდი არ დასჭირებოდა სიმშილობის გამო, ასე რომ ხალხი ზესტაფონს აწყდებოდა, მაგრამ აქაც არ იყო სიმინდი და თუ იყო ისიც უხეიროდ იყო მიღების საქმე დაყენებული. თხოვნას ადმინისტრაციის და კ. ჩხეიძის წინაშე უნაყოფოთ ჩაუვლია. სამწუხარო გარემოება ის არის, რომ სიმშილი უფრო მწვავდება. სიმშილს ზედ ვენახის ზარალიც დაერთო. შეფერხდა გოგირდშაბიამნის მოტანაც. თუ მოვიდა ისიც უდროოდ, აღარ იყო საჭირო. ასე რომ ხალხმა ნაცარს ნაცრითვე დაუწყო წამლობა და ამან უფრო წაახდინა ვენახები. სიმინდი დაურიგებიათ 23 ვაგონი, ხოლო ფულად 1000 მანეთამდე. დასასრულ, მღ. ანთაძე თხოულობს „ნარიადების“ მიღება მაინც მოგვიხერხეთ სიმინდის მისაღებათაო.

(დასასრული იქნება).

# სტუდენტთა შორის

ქ. ხარკოვი

— ოქტომბრის 10-ში ხარკოვზედ პეტროგრადისაკენ აიარა ქართ. სასიქად. მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა. ხარკოვში მოსწავლე ქართ. სტუდენტებმა და კურსისტ. ქალიშვილებმა ინახულეს ქ. ხარკოვის სადგურზედ ეკ. გაბაშვილი, მიართვეს ყვავილები, ადრესი ქართ. მოსწ. სახელით და უსურვეს კეთილად მგზავრობა. სამწუხაროდ ეკ. გაბაშვილის გავლის ამბავი ყველამ ვერ შეიტყო და ამის გამო მრავალ მოსწავლეს ვერ მოუხდა შეხვედრა თავიანთ სასიქადულო მამულიშვილისა.

— გაიწვიეს პირველი კურსის სტუდენტები 1897 წლიდან დაწყობილი და უფროსნი. 6-ში კენჭი ამოიღეს, მხოლოდ ათში შემოწმებულ იქმნენ კომისიაში. ის სტუდენტები, რომელნიც ამ დროს ხარკოვში არ მოჰყვა, უნდა გამოცხადდნენ იმ ჯარის უფროსთან, სადაც ამ ჟამად იმყოფებიან.

— წრეულს ხარკოვში დიდა სიძვირეა. სიძვირის გარდა, სანოვაგის შოვნა ძნელია. თითო კაცზედ 1 გირ. შაქარს იძლევიან ბარათით, ორ კვირას უნდა იმყოფინოს, ისიც უეჭველად რიგში უნდა იდგეს რამდენიმე საათი. ცუდი დარია თუ კარგი, მაინც ვეება კუდები რიგებისა დგანან მაღაზიის წინ და უცდიან თავიანთ ჯერს. ამ რიგებში უღამდება მოსწავლეს და ან ლექციაზედ როდის უნდა წავიდეს ან საგნები როდისღა უნდა მოამზადოს. ოთახების სიძვირეს ნუღარ იტყვით. ჯერ შოვნა სჭირს და მერე მისი ფასის გადახდა, 50—70 მან. ღირს ოთახი და ხან მეტიც. ნავთის უქონლობაც ძლიერ შეეტყო ხარკოვს. აქაც კუდებია გაბმული მაღაზიების წინ და აძლევენ ბარათებით გადაწყვეტილ ნაწილს. ბევრს ნავთიც არა აქვს.

— ავადმყოფ. დამხმარე სტუდენტთა ბიურომ გადასწყვიტა; მიუხედავად სტუდენტთა აუტანელ მდგომარეობისა, არას გზით არ მიიღონ სტუდენტობამ კერძო პირთა შემოწირულება ნივთიერათ, როგორც მაგ. უფასოდ ოთახი, ბინა და სხვა. გადასწყვიტა ამ ბიურომ თვითონ მოაწყოს სტუდენტთათვის საერთო ბინა, დააარსოს კოოპერატივი და სხვა.

— ქართველ სტუდენტთა რიცხვმა წრეულს ძლიერ იკლო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯარში ბევრი გაიწვიეს და მეორეც ისა, რომ წრეულს კავკასიის სამოსწ. ოლქის აბიტურიენტებს ხარკოვში აღარ იღებენ. რაც ქართვ. სტუდენტობაა, ისევ ძველია: მეტი წილი საექიმო ფაკულტეტისა და მეოთხე კურსელები, რომელნიც ჯარში ჯერ-ჯერობით არ მიჰყავთ.

— აქამდის საუცხოვო დარები იყო. ახლა დაიწყო შემოდგომის წვიმები და აცივდა. მალე თოვლსაც ჩამოჰყრის.

მილოზი.

# როგორ უნდა მოვიქცეთ,

## რომ ავაცდინოთ კახელი გლეხობა ღვინის ჩძარა გაყიდვას.

აქაური ღვინით მოვაჭრენი ჯერჯერობით ფეხს აჭერენ და ახალ ღვინოებს არა ყიდულობენ. დარწმუნებული არიან, რომ გლეხკაცს გაუჭირდება და მალე ვაი-ვაგლახით მოყვანილს ღვინოს ისევ იაფად გაჰყიდისო, აი, ამას ფიქრობენ ღვინის მყიდავნი და სწორედ ესეც მოხდება. ვინ არ იცის ის, რომ კახეთში თელავის მაზრის გლეხთა ცხოვრების ერთად-ერთ სახსარს ღვინო შეადგენს და მითი სულდგმულობს, იმას სხვა სახსარი არა აქვს ცხოვრებისა, მუშაობს... შრომობს... მთელი წელიწადი ვენახში; ითმენს სიმშილს, წყურვილს, სიტიტვლეს და ათას გვარ გაჭირვებას, ვენახს კი ხელს არ აკლებს. მთელი წელიწადი შრომობს და თან ღმერთს ევედრება, არ მოუვლინოს ვენახის გამანადგურებელი სეტყვა, ევედრება და ჰპირდება ღამის თევას სხვა და სხვა სალოცავ წმინდანებს, ოღონდ ვენახი გადურჩინოს. თუ ღმერთმა უსმინა და მოსავალი მისცა, მაშინ ბედნიერია გლეხი, დიდ სიხარულსა ჰქმნის მთელს ოჯახში. მაშინ ათხოვებენ ქალს, აქორწინებენ ვაჟს, ყიდულობენ ტანისამოსებს, იშორებენ ხარჯებს და ვალებს, თუ ღვინის მოსავალი არ მოუვიდათ, მაშინ კი დიდ უბედურობაში ვარდებიან.

უბედურობაც ეს არის, ზოგი გლეხი სახნავ მინდვრის უქონლობით, ზოგიც თავის მოუფიქრებლობით სხვა სასარგებლო საქმეზე არ ფიქრობს, რომ თუ ღვინო არ მოუვიდა, იმით მაინც ისარგებლოს, პური არამც თუ იმდენი ვერ მოჰყავთ, რომ სხვაზე გაყიდონ, არამედ თავიანთ სამყოფიც არა აქვთ, რომ წლიდან წლამდე შეჰყვეთ. ავიღოთ თელავის ახლო-მახლო სოფლები ფარდისუბანის, კურდღელაურის, შალაურის და კისისხევის მცხოვრებნი, ხშირათ თელავიდან მიეზიდებიან გამომცხვარ პურს და იმით საზრდოობენ.

გლეხის ასეთი გარემოება კარგად იციან აქაურმა ღვინის ვაჭრებმა და კიდეც იმისთვის არა ჩქარობენ ღვინის ყიდვას, გარდა ამისა ისიც კარგათ იციან, რომ სხვა ქვეყნებში ვერ მოახერხებენ გლეხები ეხლა ღვინის წაღებას, ისევ ამათ ხელში ჩავარდებიან, მივლენ მათთან გაჭირვებულნი დღეს იქნება თუ ხვალ და თითონვე შეეხვეწებიან. მაშინ ჩარჩმა თვითონ იცის, რა დღესაც დააყრის!

ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ავაცდინოთ გლეხობა წლევანდელ საშინელ შაბიამან-გოგირდის სიძვირეში ღვინის იაფათ გაყიდვას? დარწმუნებული ვართ, გლეხები რომ არ აჩქარდნენ, ღვინის ფასი ძალიან აიწევს

ეს შეუძლიანთ და უნდა იკისრონ კიდეც მათი შველა საქმით და არა სიტყვით, თელავისა და სოფლების შემ.-გამ. ამხანაგობებმა. თუ ცოტაც არის სიკეთე უნდათ და ებრალებათ გლეხ-კაცობა-ეხლავე მისცენ დაუყონებლივ სესხით დახმარება დრომდის იმათ, ვისაც გასაყიდი ღვინო აქვს და ფული უჭირს, თორემ ჩვენ რომ ათასი ვეძახოთ, „მოიცათ, ხალხნო, ფასი აიწევს, ჯერ ნუ გაჰყიდით“—ამით ვერაფერს ვუშველით, რადგან ვიცით ანდაზა: გაჭირებამ მოცდა არ იცისო.

შუამთელი.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ., ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ პატივცემულ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგი ანგარიში ქართველ ქალთა სემენარიის დამხმარე კომიტეტისა.

პირველ ენკენისთვეს, ამა 1916 წელს, მთელ თანხას შეადგენდა 5833 მ. 75. კაპ.

**შემოვიდა ენკენისთვის განმავლობაში.**

1) ექ. ივ. თიკანაძის მიერ ომის ასპარეზზედ შეგროვილი 155 მ., 2) ძმურ ნუგეშიდან 74 მ. 90 კ., 3) ქართ. შორ. წ.-კ. საზოგ. 250 მ., 4) ხარფუხის კლუბისაგან 500 მ., 5) დაბა სურამის საზოგადოებისაგან 225 მ., 6) ექ. მ. ა. კალანდარაშვილისაგან 100 მან., 7) თ-დ ი. რ. მაყაშვილისაგან 50 მ., 8) ვ. ი. მამაცაშვილისაგან 10 მ., 9) ე. დ. მოზდოკელოვისაგან 50 მ., 10) ს. დ. თარხნიშვილისაგან 5 მან., 11) წალვერში გამართულ წარმოდგენის შემოსავალი ... მ., 12) თ-დ ი. რ. მაყაშვილის ... 29 მ., 13) დარჩენილი სხვა და სხვა პირებზედ პირველ მაისს თამარის დღესასწაულის ბილეთების ფასი 43 მ. 20 კ., მთლად 1544 მ. 10 კ.

პირველ ღვინობისთვის ჯამი შეადგენს 7377 მ. 85 კ.

დამხმარე კომიტეტი გულითად მადლობას უხდის შემომწირველთ.

კომიტეტის თავმჯდომარე **ს. დ. კალანდარაშვილისა.**

კომიტეტის ხაზინადარი **თ-დ ი. რ. მაყაშვილი.**

მდივანი **ირ. თაზიშვილი.**

# შეცდომის გასწორება

გუშინდელ გაზეთ „საქართველოს“ ნომერში ჩემ წერილში „სოფლად“ შეცდომაა, სადაც ნათქვამია: ფულის ტრიალი 605083 მან. 34 კ., უნდა იყოს 6050834 მან. 34 კ. აგრეთვე: მომხმარებელ ამხანაგობაში ფულის ტრიალი იყო 39,772 მ. 89 კ., უნდა იყოს 93,772 მ. 89 კ.

ვსარგებლობ რა ამით მინდა განვაცხადო, რომ თელავის ამხანაგობის მოსამსახურენი, თავმჯდომარიდან დაწყებული ვიდრე ყველა მოსამსახურენი დილის 9 საათიდან 3 საათამდის და 6 საათიდან ხანდახან 12-ს საათამდის ყველანი ენერგიულად და ხალისიანად მუშაობენ, დღემდის კი თელავის ბულვარს სტკეპნიდნენ.

Legatus.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო ზანზიაშვილი**


# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 8 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | 6 „ | 24 „ | საღ. |

გამოვიდა და იყიდება

# კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходыщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—21)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ® წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვიოთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзв.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „აშტრახანი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.